ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 9 აპრილი 1996 № 27 (252) ფასი 40 თეთრი


# „დინამო“ თითქმის ჩემპიონია...

## საქართველოს ჩემპიონატი

### XXI ტური

### შევარდენი 1:0 კახეთი

შევარდენი: აბუსერიძე, ალადაშვილი, კვიტატიანი, ქველაძე, ხეტეშვილი, მინდიაშვილი, კანკავა, ჟღენტი, გოდერძიშვილი, დათვაძე, წიტაიშვილი

კახეთი: ხარირაშვილი, შონია, ათუაშვილი, ნიკლაური, ნაკუდაიძე, შალამბერიძე, ლობჟანიძე, ჯაშიაშვილი (მამისაშვილი 73), სოლოღაშვილი, ბაბულაიძე, ლვინიაშვილი

1:0 მინდიაშვილი (40)

მსაჯი: გ. მიქაუტაძე (ქუთაისი)

პირველი ტაიმის 30 წუთი მოთამაშეებმა ლაპარაკს და კინკლაობას უფრო დაუთმეს, ვიდრე ფეხბურთის თამაშს. მერე მსაჯმა უწესრიგობა ალკვეთა და ყველაფერი დალაგდა. 35-ე წუთზე „შევარდენს“ ანგარიშის გახსნა შეეძლო, მაგრამ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა გოგოძიშვილმა საბოლოო დარტყმა უხეიროდ შეასრულა. ცოტა ხანში თანაგუნდელის უზუსტობა მინდიაშვილმა გამოასწორა — მასპინძელთა მეექვსე ნომერმა კვიტატიანის მიერ ჯარიმიდან დარტყმულს ერთი შეხებით მიმართულება შეუცვალა და ბურთი კარში მოათავსა.

მეორე ნახევარი საყურებლად უფრო საინტერესო გამოდგა. მოწინააღმდეგეებმა ტემპს უმატეს. მასპინძლებს ორჯერ შეეძლოთ ანგარიშში სხვაობის გაზრდა, მაგრამ თელაველმა მცველებმა თავიანთი მეკარის შეცდომა ორივეჯერ გამოასწორეს და ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანეს. „კახეთს“ თბილისელთა დასჯაც შეეძლო. სოლოღაშვილ-შონიას კომბინაციის შემდეგ ბაბულაიძე აბუსერიძესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ აცილა. ამის შემდეგ საგულისხმო არაფერი მომხდარა. ამ გამარჯვებით „შევარდენმა“ სატურნირო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა.

მამუკა კვანტალიანი

### ტორპედო 0:1 დინამო

ტორპედო: მამარდაშვილი, შეყრილაძე, ჯინჭარაძე, თურმანიძე, სადილიანი, შენგელია, კვეტენაძე (ნოზაძე 46), ჩხეტიანი, მეგრელაძე (გიორგობიანი 60), აშვეთია, ვაჩიბერაძე

დინამო: ზოიძე, კალაძე, ლობჟანიძე, კობიაშვილი, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, კიკნაძე (დიდავა 72), ყიზილაშვილი (დემეტრაძე 76), კერძევაძე, ანჩაბაძე (ცქიტიშვილი 60), იაშვილი

0:1 იაშვილი (24)

გაფრთხილება: იაშვილი, სადილიანი

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

ქუთაისს ქარი დაებედა. გუშინაც საკმაოდ ქროდა და თამაში გააფუჭა. პირველი მომენტი მეორე წუთზე იაშვილმა შექმნა, მაგრამ ბურთი კარს აცილა. მეშვიდეზე ჩხეტიანმა გამოზომილი პასით აშვეთია ზოიძესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ მასპინძელმა ვერ ივარგა და აცილა. ტაიმის ნახევარი იყო გასული, როცა თბილისელებმა მასპინძელთა საჯარიმოში მაღალი ბურთი ჩაჰკიდეს. მამარდაშვილმა ყიზილაშვილს კი აჯობა, მაგრამ დაშვებისას ბურთი ხელიდან გაუვარდა, დადარაჯებულმა იაშვილმა კი დაამატა და ანგარიში გაიხსნა. ამის შემდეგ კერძევაძემ შორი მანძილიდან მოსინჯა რიონისპირელი გოლკიპერის სიფხიზლე. მამარდაშვილმა დარტყმული მოიგერია. ტაიმის ბოლო წუთზე აშვეთია მეკარესთან ისევ პირისპირ გავიდა, ზოიძეც მოატყუა, მაგრამ ბურთი გაექცა და მომენტიც დაიკარგა.

მეორე ნახევარში ქუთაისელებმა სათამაშოდ ნოზაძე გამოუშვეს. მან თამაში გამოაცოცხლა. ერთ მომენტში თავად მარჯვნიდან შეიჭრა სტუმართა საჯარიმოში, მაგრამ დარტყმა გაუცუდდა. მერე თითოჯერ გოგიჩაიშვილმა და აშვეთიამ სცადეს ბედი, ორივეჯერ მეკარეებმა ივაჟკაცეს და მეტიც არაფერი მომხდარა.

თამაშის შემდეგ დინამოელთა თავკაცმა შემდეგი მოგვახსენა: „დინამოს“ 4 წელია ქუთაისში არ მოუგია. დღესაც ძნელი თამაში იყო. მასპინძელთაგან კვეტენაძეს, შენგელიას და ნოზაძეს გამოვარჩევდი, ჩვენგან კი ყველამ კარგად ითამაშა.

ამ გამარჯვების შემდეგ თბილისის „დინამო“ ფაქტიურად ჩემპიონად უნდა ვიგულისხმოთ, რადგანაც „სამტრედიამ“ ისევ წაიფორხილა და ზუგდიდში ფრედ ითამაშა.

ვახტანგ ბზიკაძე
ქუთაისიდან

### დანარჩენი თამაშები

ივერია 1:2 ეგრისი

მარგვეთი 3:0 გურია

დილა 7:3 დურუჯი

ზუგდიდი 2:2 სამტრედია

მეტალურგი 5:0 სიონი

ბათუმი 0:1 კოლხეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 21 | 16 | 4 | 1 | 59-10 | 52 |
| მარგვეთი | 21 | 16 | 1 | 4 | 60-18 | 49 |
| სამტრედია | 21 | 14 | 6 | 1 | 65-25 | 48 |
| მეტალურგი | 21 | 16 | 0 | 5 | 52-21 | 48 |
| კოლხეთი | 21 | 14 | 2 | 5 | 49-32 | 44 |
| ბათუმი | 21 | 11 | 5 | 5 | 47-21 | 38 |
| ტორპედო | 21 | 11 | 4 | 6 | 42-29 | 37 |
| დილა | 21 | 10 | 4 | 7 | 42-33 | 34 |
| შევარდენი | 21 | 8 | 2 | 11 | 29-35 | 26 |
| ზუგდიდი | 20 | 6 | 2 | 12 | 30-47 | 20 |
| ივერია | 21 | 6 | 2 | 13 | 21-40 | 20 |
| კახეთი | 21 | 5 | 3 | 13 | 18-46 | 18 |
| ეგრისი | 21 | 5 | 2 | 14 | 34-53 | 17 |
| სიონი | 20 | 5 | 0 | 15 | 18-42 | 15 |
| გურია | 21 | 5 | 0 | 16 | 17-53 | 15 |
| დურუჯი | 21 | 0 | 1 | 20 | 9-88 | 1 |

## გუშინ

### შელია ინგლისში არ მიდის

„მართალია, ინგლისში, კერძოდ კი სახელგანთქმულ „ლივერპულში“ კვლავ სდომებიათ ჩემი გადასვლა, გადაწყვეტილება მივიღე, რომ „ალანიადან“ მხოლოდ მას შემდეგ წავალ, რაც ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშებ. ასეთი შანსი, შეიძლება, პირველად და უკანასკნელად მომეცა, ამიტომ ევროპის კლუბებიდან ყველა მიწვევაზე ამჯერად უარს ვიტყვი“ — განუცხადა გუშინ ჩვენს კორესპონდენტს თბილისში ერთი დღით ჩამოსულმა მურთაზ შელიამ. საქართველოს ნაკრების მცველის თქმით, ვლადიკავკაზში ჩემპიონთა ლიგის მატჩებისათვის დიდი მზადება მიდის — ევროპული დონის საწვრთნელ ბაზას მალე იგივე დონის სტადიონიც დაემატებაო.

რაც შეეხება შაბათს „როსტსელმაშთან“ გამარჯვებას, შელიამ გვითხრა: „ეს მოგება, უპირველესად, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იყო მნიშვნელოვანი. რუსები მიხვდნენ, რომ ჩვენთვის ხელის შეშლა შარშანდელივით ჩემპიონატის მიწურულს რომ დაიწყონ, გვიან იქნება და ამიტომ საქმეს ახლავე შეუდგნენ. „ჩებოტარიოვის საქმე“ სწორედ ჩვენს წინააღმდეგაა მიმართული: სურთ ფსიქოლოგიურად დაგვაკნინონ“.

მურთაზს როსტოვში მცირე ტრავმა მიუღია, თუმცა: „შემდეგი ტურისთვის და მითუმეტეს 24 აპრილისთვის, როცა ჩვენი ნაკრები რუმინეთს ეთამაშება, ჩვეულ ფორმაში ვიქნებიო“ — გვითხრა.

# ... „სიტი“ კი თითქმის გავარდა

## ინგლისის ჩემპიონატი

### XXXV ტური

ჩემპიონატის მიწურულს ინგლისელები მთლად გადაირივნენ: შაბათს ხომ ტური ითამაშეს, გუშინ კიდევ ერთი დაამატეს. „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მარცხის მერე ქინქლაძისა და ყაველაშვილის „სიტი“ ლონდონს ესტუმრა და „უიმბლდონთან“ უარესად დამარცხდა — 0:3. ეტყობოდა, რომ „სიტიმ“ მთელი ძალა მანჩესტერულ დერბის შეალია: გუშინდელი მატჩი ამ სეზონში ალან ბოლის გუნდის მიერ ჩატარებულთაგან უარესი იყო.

...ქინქლაძემ და ყაველამ მთელი მატჩი ჩაატარეს, მაგრამ ისევე როგორც დანარჩენების, ამათ თამაშსაც ბრწყინვალე არ ეთქმოდა. გიო ერთხელ მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ აცილა, ყაველას ორი სახიფათო თაური კი მეკარემ მოიგერია. ეს მომენტები უკვე 3:0-ზე მოხდა. პირველი ორი გოლი იმელის კარში უიმბლდონელმა ეპიოგუმ 42-ე და 47-ე წუთებზე შეაგდო, კიდევ ოთხ წუთში კი მასპინძლებმა მესამედ იხეირეს.

„მართლაც ყველაზე ცუდად დღეს ვითამაშეთ — ჩვენი დაცვა ერთხელ თუ აიჭრა, მერე ალარაფერი შველის“ — მითხრა თამაშის მერე გიომ.

ბოლი ისე განაწყენდა, პრესკონფერენციაზე არც მოვიდა, ერთმა ჩვენმა მანჩესტერელმა კოლეგამ კი მითხრა: ხომ ხედავ, თმა ალარ შემრჩა თავზე — „სიტის“ გამო ყოველ წელს ასე ვხერვიულობო.

ბოლოს „სარბიელის“ მკითხველთათვის სასიამოვნო ამბავსაც გეტყვით: „სიტის“ გულშემატკივართა დიდი ნაწილი სტადიონზე მანჩესტერში დამზადებული საქართველოს დროშებით იყო მოსული. წაგებას და, აქედან გამომდინარე, გავარდნის რეალურ საფრთხეს კი „სიტის“ ქომაგები სიმღერით შეხვდნენ — ტექსტი ჩვენებურ „მომავალი შენია“-ს წააგავდა, ოღონდ, ქინქი ხომ ჩვენიაო, მღეროდნენ.

დავით მჭედლიშვილი
ლონდონიდან

ასტ. ვილა 3:0 საუთჰემპტონი

ბოლტონი 2:1 ჩელსი

ლიდსი 1:3 ნოტინგემი

ლივერპული 2:0 ვესტ ჰემი

ქუინზ პარკი 3:1 ევერტონი

შეფილდი 1:0 არსენალი

ტოტენჰემი 1:1 მიდლსბრო

იუნაიტედი 1:0 ქოვენთრი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერ იუნ | 34 | 22 | 7 | 5 | 64:33 | 73 |
| ნიუკასლი | 32 | 21 | 4 | 7 | 60:33 | 67 |
| ლივერპული | 34 | 19 | 8 | 7 | 66:31 | 65 |
| ასტონ ვილა | 34 | 18 | 8 | 8 | 52:32 | 62 |
| არსენალი | 34 | 16 | 9 | 9 | 46:30 | 57 |
| ტოტენჰემი | 33 | 15 | 10 | 8 | 45:34 | 55 |
| ევერტონი | 35 | 15 | 9 | 11 | 57:41 | 54 |
| ნოტინგემი | 33 | 14 | 11 | 8 | 45:43 | 53 |
| ბლექბერნი | 33 | 14 | 6 | 13 | 47:40 | 48 |
| ჩელსი | 34 | 11 | 12 | 11 | 39:39 | 45 |
| ვესტ ჰემი | 33 | 12 | 7 | 14 | 39:47 | 43 |
| მიდლსბრო | 35 | 11 | 10 | 14 | 34:44 | 43 |
| ლიდსი | 32 | 12 | 6 | 14 | 38:47 | 42 |
| შეფილდი | 34 | 10 | 8 | 16 | 45:54 | 38 |
| უიმბლდონი | 34 | 9 | 10 | 15 | 51:64 | 37 |
| საუთჰემპტონი | 34 | 7 | 10 | 17 | 30:50 | 31 |
| მანჩესტერ სიტი | 35 | 7 | 10 | 18 | 29:56 | 31 |
| ქუინზ პარკი | 35 | 8 | 6 | 21 | 35:53 | 30 |
| ქოვენთრი | 34 | 6 | 12 | 16 | 39:60 | 30 |
| ბოლტონი | 35 | 8 | 5 | 22 | 38:67 | 29 |

## შაბათს კი ყაველამ პირველი გოლი გაიტანა

### სიტი 2:3 იუნაიტედი

სიტი: იმელი, სამერბი, კერლი, საიმონსი, ფრონცეკი (ფილიპსი 45), ბრაისველი, კლაფი, ქინქლაძე, ბრაუნი, ქუინი, ყაველაშვილი (როსლერი 69)

იუნაიტედი: შმაიხელი, ირვინი, ბრიუსი (მეი 74), ჯ. ნევილი, ფ. ნევილი, ბათი, ბექემი, კინი, გიგზი, კოული (შარპი 74), კანტონა

გოლი: კანტონა (6 პ), ყაველაშვილი (39), კოული (40), როსლერი (71), გიგზი (77)

„მანჩესტერ სიტის“ აქამდე 13 შეხვედრაში ვერ მოეგო თანაქალაქელი „იუნაიტედისთვის“. შაბათს მან ეს მეთოთხმეტედ ვერ შეძლო.

პირველი გოლი მე-6 წუთზე გავიდა. სამერბიმ ირვინი საჯარიმოში მოცელა. მსაჯმა პენალტი დანიშნა, ცივსისხლიანმა კანტონამ კი სამაგალითოდ დაარტყა.

41-ე წუთზე „სიტიმ“ გაათანაბრა. ფრონცეკმა მოახერხა საჯარიმოში ჩაწოდება, ქუინმა თავით ყაველაშვილს დაუგდო, ქართველმა დებიუტანტმა კი შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა. ყაველას თანაგუნდელებს „იუნაიტედის“ მოთამაშეებმა მხოლოდ ერთი წუთით აცალეს სიხარული. ენდი კოულმა კანტონას მიაწოდა, ფრანგმა უმალ დაუბრუნა და ანგარიშიც შეიცვალა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ყაველაშვილმა დაარტყა, მაგრამ ბურთი შმაიხელს თავში მოხვდა, კარში კი არ გავიდა. მალე ქართველი თავდამსხმელი როსლერმა შეცვალა. გერმანელი ბოლო დროს ალან ბოლთან უბრად არის და იმით გაბრაზებულია. ეტყობა, მას არც ყაველაშვილის „სიტიში“ გადასვლა ეამა. ან კი რად ეამებოდა, როცა აგერ, ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში სასტარტო შემადგენლობაში სწორედ მიშა დააყენეს. მოკლედ, ორი წუთის შესულმა გაბოროტებულმა როსლერმა გოლი გაიტანა და მაყურებელს მაისურზე ამოქარგულ თავისი. გვარზე მიუთითა. ალბათ იმის თქმა უნდოდა, ამ გუნდში მთავარი თავდამსხმელი მე ვარო.

ასე გაათანაბრა „სიტიმ“ მეორედ, მაგრამ კანტონას რა მოასვენებდა. 77-ე წუთზე მან რაიან გიგზი გაიყვანა საგოლე პოზიციაზე და უელსელმა ვარსკვლავმაც არ უმტყუნა.




# მორაგბეები ეროვნულზე შეშვებას ითხოვენ, მაგრამ სულ ამაოდ

ეს საქართველო — ჩეხეთის თამაშის აფიშაა, დღეს რომ გაიკვრება თბილისში. იგი თუნდაც გულდასმით დაათვალიეროთ, მაინც ვერ იპოვით მატჩის გამართვის ადგილს, ვინაიდან თამაშამდე სამი დღით ადრეც დანამდვილებით ცნობილი არაა, თუ სად უმასპინძლებენ ქართველი მორაგბეები ევროპელ სტუმრებს.

ამ საკითხსა და კიდევ მრავალ მისთანას მიეძღვნა ქართული რაგბის თავკაცების პრეს-კონფერენცია, შაბათს რაგბის კავშირის ახალ ოფისში წლევანდელი სეზონის პრეზენტაციის პროგრამით რომ მოეწყო.

აქამდე უჩვეულო ღონისძიებამ მედიის ერთბაშად 17 წარმომადგენელი მიიზიდა. მათგან სამი ვიდეოკამერით იყო შეიარაღებული, ოთხი — ფოტოაპარატით, დანარჩენები კი — კალმებით. სტუმართა უმეტესობა ახალგაზრდა და რაგბის გაშუქების ახალბედა იყო.

მორაგბეებმა სტუმრებს მობრძანებისთვის ღრმესი მადლობა მოახსენეს და კოკა-კოლითა და ბორჯომით გაუმასპინძლდნენ. მედიის კითხვებს უპასუხეს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ, ქვეყნის ნაკრების მწვრთნელმა დავით კილასონიამ, ქუთაისის „აიას“ წარმომადგენელმა ზაზა თხელიძემ და ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ნოკოლოზ იურინმა. დიალოგს რაგბის კავშირის გენერალური მდივანი გია კუბლაშვილი წარმართავდა.

საუბრის ძირითადი თემა, რა თქმა უნდა, ჩეხეთთან მატჩი იყო. ითქვა, რომ თუ მორაგბეებს არ შეუშვებენ ეროვნულ სტადიონზე, ვაკის სტადიონი, რომელიც კარგა ხანია მორაგბეთა ბინაა, თუმცკი შენებისა და განახლების პროცესშია, მაინც მზადაა ამ უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო მატჩის გასამართად.

მასპინძლებს შანსი ხელიდან არ გაუშვიათ, მედიისათვის თანადგომა რომ ეთხოვნათ. საქმე ისაა, რომ მიზეზთა და მიზეზთა გამო ვერაფრით ხერხდება თბილისში რაგბის სტადიონის მოწყობის უფლების მიღება, სხვა ბაზებზე მორაგბეთა შეშვება კი დღესაც მთლიანად ფეხბურთის მამების ხუშტურზეა დამოკიდებული. ესენი მარჯვედ ხმარობენ ოდინდელ არგუმენტს, აქაოდა რაგბი მოედანს აფუჭებსო.

აი, ახლაც, მორაგბეებს „დინამოზე“ არ უშვებენ. ფეხბურთელებს საბაბი ნამდვილადა აქვთ — დიდი რაგბის დღეს დიღუბეში „დინამო“ — „მეტალურგის“ საფეხბურთო მატჩია. მორაგბეებს ამ მატჩის გადადება უთხოვიათ იქ, სადაც ჯერს არს, მაგრამ იქედან დასაბუთებული პასუხი ვერ მიუღიათ. ამის შემდეგ ალბათ ვერ გავამტყუნებთ ოვალური ბურთის მიმდევრებს, თუკი ეჭვს შეიტანენ ქვეყნის უმთავრესი სტადიონის სტატუსში: თუკი ზედ რაგბის ეროვნულ ნაკრებს არ შეესვლება, ამ სარბიელს როგორღა უნდა ერქვას ეროვნულიო, — ჰკვირობენ გულგატეხილნი.

გუშინ თბილისში გაწვიმდა. ამან „დინამოს“ ხელმძღვანელობას ახალი არგუმენტი შემატა. ამის შემდეგ 12 აპრილის რაგბის ეროვნულზე გამართვა სულ მთლად სათუო შეიქნა.

ზაზა ფხაკაძე

## საქართველოს ჩემპიონატი

### XX ტურის მიმოხილვა

#### დურუჯი 1:5 მეტალურგი

დურუჯი: სომხიშვილი, ვარადაშვილი (ჯიქურიშვილი 46), ოსაძე (დავითაშვილი 85), ცინცაძე, მოსიაშვილი, ოსეფაიშვილი, ყანჩაშვილი, ბოჭორიშვილი, ქარენაშვილი, ყიზილაშვილი, წიწრიაშვილი

მეტალურგი: დოლიძე, ფოფხაძე, სილაგაძე, პატარიძე, თევზაძე, რეხვიაშვილი, ზირაქიშვილი, ჩალაძე, პერტია (კედელაშვილი 62), მეტრეველი (მელაძე 62), ალადაშვილი (ტარტარაშვილი 62)

0:1 მეტრეველი (13), 0:2 პატარიძე (38), 0:3 ჩალაძე (60), 0:4 კედელაშვილი (65), 0:5 რეხვიაშვილი (73), 1:5 ქარენაშვილი (85)

მსაჯი: ა. შილაკაძე (თბილისი)

„დურუჯმა" მხოლოდ 12 წუთი გაუძლო „მეტალურგს". თამაშის შემდგომი სცენარი სტუმართა კარნახით წარიმართა. კუთხურიდან ჩამოწოდებული მეტრეველმა თავით გაიტანა და ანგარიში გახსნა. მეორედ პატარიძემ ივაჟკაცა, როცა დურუჯელთა საჯარიმოში შექმნილი სიტუაცია ლოგიკურად დაასრულა — რუსთაველის დარტყმულს მეკარემ ვერაფერი მოუხერხა. ამის შემდეგ ჩალაძემ მისთვის ჩვეულ სტილში მოატყუა ორი მეტოქე და ბურთმა მასპინძელთა კარის ბადე მესამედ შეარხია. 65-ე წუთზე შეცვლაზე შემოსულმა კედელაშვილმა ივარგა. ალადაშვილის პასით მან მეოთხედ აიღო „დურუჯის" კარი. გოლების წვიმა რეხვიაშვილმა ლამაზი დარტყმით დაასრულა.

ამის შემდეგ რუსთაველები მშვიდად ათამაშდნენ, რაც არც იყო გასაკვირი — თამაშის დამთავრებამდე 17 წუთი რჩებოდა, ხოლო ხუთბურთიან სხვაობას ასეთი მცირე ხნის განმავლობაში „დურუჯზე" ძლიერი გუნდიც ვერ შეამცირებდა. კახელმა ფეხბურთელებმა პრესტიჟის გოლი მაინც შეაგდეს. საჯარიმოში სახიფათოდ შეჭრილი ბოჭორიშვილი მცველებმა წააქციეს. მსაჯმა სამართლიანად დანიშნა თერთმეტმეტრიანი, რომელიც ქარენაშვილმა გოლად აქცია.

„მეტალურგმა" ზედიზედ ხუთი მატჩი მოიგო. თუ გუნდმა ასე გააგრძელა, იგი ერთ-ერთ პრიზიორად უნდა ვიგულოთ.

#### კახეთი 1:3 მარგვეთი

კახეთი: ხაჩირაშვილი, შონია, ათუაშვილი, ნიკლაური, ნაკუდაიძე, შალამბერიძე, ლობჟანიძე (ნონიკაშვილი 60), ჯაშიაშვილი, სოლოღაშვილი, ბაბულაიძე, გოგიაშვილი (მამისაშვილი 71)

მარგვეთი: გვენცაძე, ლანჩავა, გურიელიძე, გაბრიჭიძე, შალლაკელიძე, მორგოშია (ჩხეტია 69), კაკუბავა, უკლება (გენაძე 75), ქებაძე, კიკნაძე, ენდელაძე

0:1 ენდელაძე (29 პ), 0:2 კიკნაძე (50), 0:3 ენდელაძე (65 პ), 1:3 ბაბულაიძე (88)

გაფრთხილება: ნონიკაშვილი

მსაჯი: მ. კობიაშვილი (დუშეთი)

თამაშის 29-ე წუთამდე „კახეთს" უპირატესობა ჰქონდა. საგოლე მომენტები ვერ გამოიყენეს ჯაშიაშვილმა და შონიამ. აქ კი ზესტაფონელებმა სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს, ბურთი ახალწვეულმა ქებაძემ მიიღო და საჯარიმოში სახიფათოდ შეიჭრა. თელაველებმა, გოლი რომ თავიდან აეცილებინათ, თავდამსხმელი მოცელეს. ენდელაძემ თერთმეტმეტრიანის გამოყენების შანსი ხელიდან არ გაუშვა და ანგარიშიც გახსნა.

მეორე ტაიმში აშკარა გახდა სტუმართა უკეთესი ფიზიკური მომზადება. მასპინძლები საკუთარ საჯარიმოში ჩასვლას ვეღარ ასწრებდნენ, ეს ანგარიშშიც აისახა. ჯერ მორგოშიამ მარჯვენა ფრთაზე წამოწყებული შეტევა საჯარიმოში ზუსტი პასით გააგრძელა, ხოლო კიკნაძემ თაური დარტყმით ბურთი ბადეში გაგზავნა. მერე ისევ ქებაძემ იმარჯვა. უნდა აღინიშნოს, რომ ზესტაფონელთა ახალგაზრდა ფორვარდი თამაშიდან თამაშამდე უმატებს. ცოტა ხანში „მარგვეთს" მისი სახით მრისხანე თავდამსხმელი ეყოლება. თავიანთ თვისტომს იმ დღეს თელაველებმა ვერაფერი მოუხერხეს და ქებაძის გარღვევა წესების დარღვევით შეაჩერეს. ენდელაძემ პენალტი მეორედაც გაიტანა. მასპინძლებმა მატჩის დამთავრებამდე 9 წუთით ადრე ერთი ბურთი გაქვითეს: სოლოღაშვილის ძლიერად და ზუსტად დარტყმული მეკარე გვენცაძემ მოიგერია, მაგრამ ბაბულაიძემ გამოვარდნილი ბურთი უკან კარში შეაგდო.

ამ დამარცხებით „კახეთმა" ძლიერ გაიუარესა სატურნირო მდგომარეობა. თელაველებმა ჯგუფში ადგილის შენარჩუნებისთვის კარგა გვარიანი ოფლის ღვრა მოუწევთ.

#### სიონი 3:1 ტორპედო

სიონი: სიდამონიძე, გაბრიჩიძე, შაკიაშვილი, ყიფშიძე, მეფარიშვილი, პაპიძე (ბურდული 60), გოგოლიძე, ტორომშელიძე, მოსეშვილი, სამხარაძე, ანდღულაძე (მეტრეველი 70)

ტორპედო: მამარდაშვილი, შეყრილაძე, ჩხაბერიძე, თურმანიძე, სადილიანი, ჯინჭარაძე, კვ[illegible], ჩხეტიანი, მენგელია, აშვ[illegible], [illegible]ჩიბერიძე

0:1 მენგელია (33), 1:1 ტორომშელიძე (65), 2:1 სამხარაძე (75 პ), 3:1 გოგოლაძე (88)

გაფრთხილება: მეფარიშვილი

გაძევება: ჩხაბერიძე

მსაჯი: გ. ასკარ-ოღლი (ქარელი)

„ტორპედომ" თავიდანვე [illegible] და უპირატესობა [illegible] ჩუნა. თამაშის 5-ე წუთზე [illegible] ხელი ჩხაბერიძე [illegible] სტუმრები გა[illegible]დითი მსაჯის [illegible] თამაშგარებ ალამი[illegible]. 2[illegible]-ე წუთზე [illegible]თიამ დიაგონალური გადაცემით შე[illegible] მეკარესთან პირისპირ გაიყვანა [illegible] დააყოვნა და ანგარიში გახსნა.

მეორე ტაიმში მასპინძლები [illegible]რდნენ და ტორომშელიძემ სა[illegible]ლიდან სტუმრებს ცხრილში [illegible] რე ასკარ-ოღლიმ ქუთაისელ[illegible] მოში ხელით თამაში დააფიქსირა და თერთმეტმეტრიანი დანიშნა. [illegible] რიგებში დიდი არეულობა [illegible] რომა გამოიწვია. სამხარაძემ [illegible] მოიყენა და „სიონი" დაწინაურდა. თამაშის საბოლოო წერტილი გოგოლაძემ დასვა, მან ახალგაზრდა მამარდაშვილს ბურთი თავს ზემოთ გადაუგდო. [illegible] შიც დასრულდა. ქუთაისელი ფეხბურთელები შინ მსაჯებზე [illegible] დაბრუნებულან.

#### ივერია 2:1 შევარდენი

ივერია: გვარამაძე, ნეკერაშვილი, ლურსმანაშვილი, ჩიბაშვილი, ლაცაბიძე, ხარაზიშვილი, ვ. ბუხრიკიძე (ი. ბუხრიკიძე 60), ლომიძე, ტყემალაძე, კაციაშვილი, ზირაქაძე (გლუნჩაძე 56)

შევარდენი: აბუსერიძე, ალადაშვილი, ქველაძე, კვიტატიანი, გოგოლაძე, მელქაძე, კანკავა, ჯიქია, გოდერძიშვილი (ქოიავა 75), დათვაძე (წიტაიშვილი 46), მინდიაშვილი

0:1 მელქაძე (54), 1:1 ლურსმანაშვილი (69), 2:1 გლუნჩაძე (85)

გაფრთხილება: გოგოლაძე, მელქაძე, გლუნჩაძე

მსაჯი: მ. მირცხულავა (ლანჩხუთი)

პირველ ტაიმში ხაშურელმა ხარაზიშვილმა რეალური საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა. „შევარდენიც" ბევრს ცდილობდა, მაგრამ პირველ 45 წუთში ანგარიში არ გახსნილა.

მეორე ნახევარში მელქაძემ 35 მეტრიდან ძლიერად დაარტყა და სტუმრები წინ გაიყვანა. 69-ე წუთზე „ივერიამ" კუთხური ჩამოაწოდა. ლაცაბიძემ თავით კარში დაარტყა. ბურთი მცველს მოხვდა. მსაჯის აზრით, ბურთი მას ხელზე შეეხო, ამიტომ თერთმეტმეტრიანი დანიშნა. სტუმრებმა პროტესტი გამოთქვეს, მაგრამ მათ ყური არავინ ათხოვა და ლურსმანაშვილმა ანგარიში გაათანაბრა. მეორე გოლი, რომელმაც მასპინძლებს გამარჯვება მოუტანა, მეტად კურიოზული გამოდგა: სტუმართა მცველმა თავის კარიდან თავისუფალი დაარტყა. ბურთი ხაშურელ თავდამსხმელს მოხვდა ზურგზე და მის თანაგუნდელ გლუნჩაძეს მიუგორდა. მანაც დაარტყა და გაიტანა.

სტუმართა გუნდი და მათი ხელმძღვანელობა მსაჯობით აშკარად არ გახლდათ კმაყოფილი: „მატჩი არბიტრმა და თანამსაჯმა მოგვიგეს" — თქვა მურთაზ ხურცილავამ. რაც შეეხება მურთაზ მირცხულავას, მის საქმეს ფედერაციაში განიხილავენ.

#### ეგრისი 3:6 კოლხეთი

ეგრისი: ბულია, ჯლარკავა, ნაჭყებია, ბენდელიანი, ახალაია, ნოდია, ფიფია (გ. მიქავა 46), წულაია, თორია, თვარაძე, დანელია

კოლხეთი: გოგუა, მიქაბერიძე (ღალანიძე 86), კაკაჩია, გიგატაძე, არზიანი, ინიაშვილი, კიკლიაშვილი, ამბიძე, გიორგაძე, გაბისონია, ქობულაძე

0:1 მიქაბერიძე (20), 1:1 წულაია (24), 1:2 კიკლიაშვილი (51), 2:2 წულაია (53), 3:2 თვარაძე (60), 3:3 ამბიძე (66), 3:4 გაბისონია (73), 3:5 მიქაბერიძე (77), 3:6 არზიანი (86)

გაფრთხილება: ინიაშვილი, ნაჭყებია

მსაჯი: ვ. ეჯიბია (თბილისი)

XX ტურში მასპინძლებმა იძალეს. მათ ოთხ შეხვედრაში გამარჯვება მოახერხეს, ერთში კი ფრეს მიაღწიეს. სამი შეხვედრა, აქედან ორი დიდი ანგარიშით, მოიგეს სტუმრებმა. 33 გოლიდან სტუმარ-მასპინძლებმა შესაბამისად 18 და 15 გოლი გაიტანეს. ორ მატჩში სტუმრები მსაჯობით უკმაყოფილონი დარჩნენ. სამტრედიაში დაფიქსირებულმა ფრემ თბილისის „დინამო" ერთპიროვნულ ლიდერად აქცია, ხოლო „მარგვეთს" და „მეტალურგს" მეორე ადგილზე გასვლის შანსი მისცა. ძალზე დაიძაბა მდგომარეობა გათამაშების ცხრილის ბოლოში. ძნელი სათქმელია, ვინ იქნება ის გუნდი, რომელიც „დურუჯს" შეუამხანაგდება და ჯგუფში ადგილს სხვებს დაუთმობს. ჯგუფის დატოვების საფრთხე ემუქრებათ „შევარდენს", „ზუგდიდს", „კახეთს", „ივერიას", „გურიას", „სიონს" და „ეგრისს".

მამუკა კვანტალიანი

## «სამტრედია» შინ ვერ ითამაშებს

ოქტომბერში რუსთავის „მეტალურგს" მეორე წრეში თამაშების შინ ჩატარება რომ აუკრძალეს, კარგად მოგეხსენებათ. ეს გადაწყვეტილება ფეხბურთის ფედერაციამ მას შემდეგ გამოიტანა, რაც კომისიამ სათამაშო მინდორი უვარგისად მიიჩნია. რუსთავში მეტალურგებს აპრილიდან უნდა ეთამაშათ, მაგრამ დისკვალიფიკაცია კიდევ ერთი თამაშით გაუგრძელეს და გუნდმა მე-9 ტურის მატჩი „სიონთან" თბილისში, ავლაბრის სტადიონზე ჩაატარა. კომენტარი რეზო ძოძუაშვილს ვთხოვეთ:

„ფოლადის" სტადიონზე კიდევ ერთი კვირა დასჭირდება მინდორზე ბალახის საბოლოოდ მოღონიერებას, ვარჯიშითაც სხვაგან, ქალაქგარეთ ვავარჯიშებ ბიჭებს. ასე რომ საგანგაშო არაფერია, მალე რუსთავში ვითამაშებთ".

ანალოგიური პრობლემა სამტრედიელებსაც ჰქონდათ, ოღონდ ამჯერად მინდვრის საფარი არაფერ შუაშია. იმერლებს არც წესრიგი დაურღვევიათ. საქმე ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონის აღმოსავლეთი ტრიბუნა გახლავთ — იგი სავალალო მდგომარეობაშია. ამ ფაქტის დამადასტურებელი საბუთი ფეხბურთის ფედერაციაში თავად ვიხილე — ტრიბუნის საყრდენი შველერის ნაწილი მთლად ჟანგისგანაა შეჭმული, იგი ათეულობით მაყურებელს კი არა, ორიოდ კილოგრამსაც ვერ გაუძლებს. ტრაგედიის თავიდან აცილების მიზნით, სპეციალური აქტის საფუძველზე, ფეხბურთის ფედერაციამ სათანადო სარემონტო სამუშაოების ჩატარებამდე ამ სტადიონზე ყოველგვარი საფეხბურთო ღონისძიების ჩატარება აკრძალა. საფეხბურთო კლუბ „სამტრედიას" მიმდინარე წლის 9 აპრილამდე ევალება ფედერაციას აცნობოს, თუ რომელ ქალაქში ჩაატარებს გუნდი ჩემპიონატისა და თასის თამაშებს.

ამ შემთხვევაში ფეხბურთის ფედერაციამ სავსებით სწორი გადაწყვეტილება გამოიტანა. მოგეხსენებათ, სამტრედიელები ჩემპიონატში კარგად ასპარეზობენ და თბილისის „დინამოს" კონკურენციას უწევენ. გულშემატკივრებიც საკმაოდ ჰყავთ. გათამაშების ცხრილშიც დაძაბული მდგომარეობაა. თასის კენჭისყრამაც „სამტრედია" „დინამოს" შეახვედრა. რა თქმა უნდა, ამ და სხვა თამაშებზეც ტრიბუნები ბოლომდე შეივსება, ასეთ სიმძიმეს კი ჟანგმოდებული რკინები ძნელად თუ გაუძლებენ.

მოკლედ, ფედერაციამ გზა ურემის გადაბრუნებამდე ნახა, თანაც, სამტრედიელთა მდგომარეობაც გაითვალისწინა და მათ ნებისმიერ სტადიონზე თამაშის უფლება მისცა იმ შემთხვევაში, თუკი წაყენებულ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.

მკითხველს, ალბათ, დააინტერესებს ტარიელ ჩაჩუას კომენტარი:

— ჩვენ მრავალგზის ვიმსჯელეთ სტადიონის არასახარბიელო მდგომარეობაზე. იგი რკინიგზის ბალანსზე იმყოფება, ხოლო რემონტისთვის საჭირო თანხები ამჟამად არც რკინიგზას გააჩნია და არც კლუბს.

**— გამოსავალს რაში ხედავთ?**

— ჩემი აზრით, სტადიონის დისკვალიფიკაცია სულაც არ არის საჭირო. ჩვენ შეგვეძლო წესრიგის დამცველებისთვის მოგვეხმო და ავარიულ ტრიბუნაზე მაყურებლები არ დაგვესხა.

**— კი მაგრამ, მაშინ შეიძლება მეორე პრობლემა შეიქმნას. ხომ შეიძლება გულშემატკივრებსა და წესრიგის დამცველთა შორის შეტაკება მოხდეს?**

— ეს არ მოხდება. გულშემატკივარი, ბოლოსდაბოლოს, ფეხზე დადგება, მაგრამ საქმე ეს როდია. ჩემი აზრით, ეს აქცია ჩვენი გუნდის წინააღმდეგ უფროა მიმართული და თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება, უარიც ვთქვათ ჩემპიონატში მონაწილეობაზე.

აქ ბატონ ტარიელთან საუბარი შევწყვიტეთ. ცხელ გულზე კაცი ბევრ რამეს იტყვის, მაგრამ მერე დამშვიდდება და დაფიქრდება კიდეც. რაც შეეხება „სამტრედიის" ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობის არმიღების შესახებ, არ გვგონია, ეს სერიოზული გამონათქვამი ყოფილიყო. ასეთ მოქმედებით ხომ არა მარტო სამტრედიული, არამედ საერთოდ ქართული ფეხბურთი იზარალებს. ყველაფერს ალბათ კლუბის, რაიონის და რკინიგზის ხელმძღვანელების ერთურთშეთანხმება და ტრიბუნის ოციოდე საყრდენის გამოცვლა სჯობს. ამას ხომ სულ დიდი ორი დღე დასჭირდება. სამტრედიელი გულშემატკივარიც გულდამშვიდებული და არა ფეხზე მდგარი უქომაგებს საყვარელ გუნდს.

ზვიად დანელია



სენკელთა მთავარი მწვრთნელი ნუგზარ ბოჯგუა „შევარდენთან" წაგებული მატჩის შემდეგ გზაზე. თავდაპირველად კონკრეტულად ამ მატჩზე ვაპირებდი მასთან საუბარს, მაგრამ პრობლემებით შეწუხებულ ბოჯგუას ამის არც სურვილი ჰქონდა და არც განწყობა. აუტსაიდერი გუნდის მწვრთნელს ეს წაგება ლოგიკურად მიაჩნდა, და აი რატომ:

## ნუგზარ ბოჯგუა: ჩემი მდგომარეობა ფეხბურთიდან წასვლას მაფიქრებინებს

— ყველა მწვრთნელს უნდა, რომ მის გუნდს კარგი შედეგი ჰქონდეს, მათ შორის მეც, მაგრამ კარგა ხანია ჩემს თავს ასეთ კითხვას ვუსვამ: რატომ ვართ ფეხბურთში მეც და ის ფეხბურთელებიც, რომლებიც დღესდღეობით „ეგრისში" თამაშობენ? მაგალითად, თვარაძე 35 წლისაა. ბუნებრივი იქნება, ვინმემ რომ იკითხოს, რაღა დროს ამხელა კაცის თამაშიაო, მაგრამ ფეხბურთის სიყვარულს ასე სცოდნია. იგივე თვარაძე, მიუხედავად ასაკისა, მშვენივრად თამაშობდა, მაგრამ ვერაფერი ხეირი რომ ვერ ნახა ფეხბურთში, ახლა იმასაც სურს წასვლა. სეზონის ბოლომდე გუნდში მხოლოდ ჩემი თხოვნით დარჩა. ასე არიან სხვებიც, მაგრამ ყველა ხომ არ უნდა წავიდეს ფეხბურთიდან?

სხვათა შორის თუ დააკვირდით, „შევარდენთან" შეხვედრისას რამდენიმე კარგი მომენტი გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. ამას თავისი მიზეზი აქვს. როცა გამოფიტული ხარ და ძალ-ღონე აღარ გყოფნის, მოედანზე ვერც იმოძრავებ და ვერც ბურთისთვის იბრძოლებ. ფიზიკურ გამოფიტვას გონებრივიც მოჰყვება — მოთამაშეს უჭირს სწრაფად გადაწყვეტილების მიღება, სისწრაფეც აღარ მოსდევს. აი, ყველაფერმა ამან განაპირობა, საგოლე მომენტები რომ ვერ [illegible]ნეთ.

ჩვე[illegible] ერთი [illegible]საც ვისაუბრეთ. მახსოვს, მაშინაც იგივე პრობლემები აწუხებდა გუნდს. არაფერი შეცვლილა. ვითარება კვლავ კატასტროფულია და სეზონის ბოლომდე, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, უკეთეს მომავალს ვერ ვხედავ.

პირველი წრის შემდეგ, რამდენადაც ვიცი, ზოგიერთ გუნდს — „კახეთს", „ივერიას", „მეტალურგს" — რაიონის ხელმძღვანელობა ამოუდგა გვერდში. არა მგონია, სენაკში ფეხბურთი ნაკლებად უყვარდეთ, მაგრამ გუნდისთვის ჯერ არავის არაფერი გაუკეთებია. გასულ წელს ჩვენი მდგომარეობის შესახებ სერიოზული საუბარი გვქონდა გამგებელთან. შეხვედრას სამეგრელოს რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებული გივი ლომინაძე და ჩვენი გუნდის პრეზიდენტი კახა რუსიაც ესწრებოდნენ. იყო დაპირებები, რომელთა შეუსრულებლობის გამოც „დილასთან" შინ არ ვითამაშეთ. ორი თვე, ფაქტიურად, მოსამზადებელი პერიოდის მუხტი გაგვყვა. დაპირება რომ დაპირებადვე დარჩა, ბიჭებსაც გული გაუტყდათ. გორელებთან შეხვედრის შემდეგაც არ ვაპირებდით სათამაშოდ გასვლას, მაგრამ გადავიფიქრეთ — მეორე თამაშზე გამოუცხადებლობისთვის ჩემპიონატიდან მოგვხსნიდნენ და მერე ღმერთმა უწყის, რომელ ჯგუფში აღმოვჩნდებოდით. მეეჭვიც არ მეპარება იმაში, რომ კახა რუსიას, ჩვენს ყოფილ პრეზიდენტს, რომელიც ახლაც გვერდში გვიდგას, ფული რომ ჰქონდეს, „ეგრისს" ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში აღარ ამყოფებდა. კახა ფეხბურთის დიდი მოყვარულია და მის გარეშე წუთითაც ვერ ძლებს, მაგრამ რა ქნას, როცა ძველებურად აღარ ძალუძს გუნდის შენახვა?

მიუხედავად ამდენი პრობლემისა, იმედი მაქვს, რომ შევძლებთ I ჯგუფში დარჩენას. არ იფიქროთ, ამ მიზნის მიღწევას მსაჯების მოსყიდვით ან საკუთარ მოედანზე ვინმეს დაშინებით ვაპირებდეთ. მე საერთოდ არ მჩვევია მსაჯებთან კამათი. ხუთი შეხვედრა დაგვრჩა შინ ჩასატარებელი და ყველა ღონეს ვიხმართ მათ მოსაგებად. სხვა გზა და გამოსავალი, ფაქტიურად, არ გვაქვს. თანაც, საშინაო მატჩებისთვის უკეთ ვემზადებით, მგზავრობითაც არ ვიქნებით გადაღლილები და ძალებიც დაგვეზოგება. მაყურებელთა პატარა ჟიჟინაც ბიჭებს გაამხნევებს და იქნებ საჭირო ქულებიც მოვიპოვოთ. მე მჯერა, რომ „ეგრისს" შეუძლია უკეთესად თამაში. უახლოეს ტურებში თუ ვიმარჯვეთ, გადავრჩებით, თუ არადა...

მოკლედ ვნახოთ, ალბათ, ღმერთიც გვიშველის.

მერაბ მამულაშვილი


სააგენტო «მინერვა»

მოგვმართეთ და თქვენს წინაშე ხელისგულივით გადაიშლება მთელი მსოფლიო.

— მომსახურება საერთაშორისო სტანდარტების დონეზე;
— ბილეთები ავია-რეისებზე მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მიმართულებით;
— მყარი, შეუვალი გარანტიები და რაც მთავარია — მაქსიმალურად ხელმისაწვდომი ფასები.

ყველაფერი ეს — ჩვენთან!

მისამართი: კინოთეატრი „რუსთაველი", ცენტრალური შესასვლელი.
ტელ: 93-22-53

# ყიზო ეძებს ყიზოს



თბილისის დინამოს ისტორიაში თითებზე შეიძლება ჩამოთვალონ ფეხბურთელები, რომელთაც სსრკ-ს პირველობაზე თავიანთი დებიუტი გოლით აღნიშნეს. ბოლო ასეთი ფეხბურთელი დავით ყიზილაშვილი გახლდათ, რომელმაც 1989 წელს დებიუტის მატჩში დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან" გოლი გაიტანა. ამ ფეხბურთელის კარიერა გამართლებისა და გაუმართლებლობის მონაცვლეობითაა, რაკილა ზემოთხსენებული თამაშის შემდეგ მეორე მატჩშივე ფეხი მოიტეხა. ასე გრძელდება დღემდე, თუმცა ახლა დათოს, ცოტა არ იყოს, გაუგრძელდა „უიღბლობის სერია": გასული მაისიდან მოყოლებული წლევანდელ იანვრამდე არცერთ გუნდში არ ირიცხებოდა, შემდეგ ზედ მოსკოვში წასვლის წინა დღეს კოჭში გადაუტრიალდა ფეხი და ესენგეს ტურნირზე „ცალი ფეხით წავიდა", მერე იყო და მეორე წრის ზედიზედ ორ მატჩში გოლი ვერ გაიტანა, არადა, მომენტები მრავლად ჰქონდა. ნავსი ყიზომ ფოთის „კოლხეთთან" თამაშის მეთვრამეტე წუთზე გატეხა და თაური შეაგდო. მერე „ბათუმთან" ივარგა ორჯერ. მოკლედ, სავარაუდოა, რომ უიღბლობები დასრულდა და ყიზოსთვის იღბლიანობის პერიოდი დგება. თუმცა, თავად სულაც არ ფიქრობს ასე:

— ჯერ იმდენად შორს ვარ ჩვეული ფორმისაგან, ვერ გეტყვი, მართლა დასრულდა თუ არა უიღბლოთა სერია. ჩემპიონატის იმ მატჩებში, მეორე წრეში „დინამოში" რომ ვითამაშე, ყველაზე უკეთ, ჩემი აზრით, „ბათუმთან" გამოვიყურებოდი, მაგრამ მე ხომ ნათლად ვგრძნობ, რომ ფორმაში ვერ ვარ. ძნელია ასე უცბად აინაზღაურო უთამაშებელი რვა-ცხრა თვე...

**— სიტყვამ მოიტანა და, რატომ ჩაიგდე თავი ასეთ მდგომარეობაში?**

— ჩემი გამოუცდელობის ბრალია. საზღვარგარეთ რომ წავედი, სად მქონდა მაშინ ან გამოცდილება, ანაც ინგლისური სად ვიცოდი? კონტრაქტს ისე მოვაწერე ხელი, არაფერი მკითხავს და თვითონაც ხომ არ მეტყოდნენ, უსინდისოდ მოგატყუეთო? მოკლედ, კონტრაქტი ისე იყო შედგენილი, სანამ ფეხბურთს ვითამაშებდი, „ომონიას" საკუთრება უნდა ვყოფილიყავი. კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგაც ჰქონდა „ომონიას" ჩემზე უფლება. როცა ეს ვადა ამოიწურა და მივხვდი, კეთილი ნებით ჩემი გამშვებები არ იყვნენ, „ომონიაში" თამაშზე უარი განვაცხადე. ახალ პირობებს მთავაზობდნენ, მაგრამ აბა [illegible] უნდა დავრჩენილიყავი ხალხთან, რომლებიც ასე უნამუსოდ მომექცნენ? კვიპროსის რამდენიმე კლუბიც იყო დაინტერესებული ჩემი ხელში ჩაგდებით, მაგრამ ჩავთვალე, რომ ამ ქვეყანაში თამაშს უკვე აზრი აღარ ჰქონდა და კვიპროსიდან უკანმოუხედავად წამოვედი.

**— ახლა იმ ამბებზე ვთქვათ, გულშემატკივარი თავის დროზე ასე ძალიან რომ დააინტერესა. ყველას ეგონა, კვიპროსიდან იმიტომ მოდის, ბელგიის „ანტვერპენთან" უნდა მოაწეროს ხელი და ამ ქვეყანაში პირველი ქართული ლეგიონერიც გახდესო.**

— ანტვერპენში ოთხი-ხუთი დღით ჩავედი. ამ საქმეს ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მენეჯერი ბაბკოვიჩი აგვარებდა. ბაბკოვიჩს ძალიან ვენდობოდი, რაკილა ვიცოდი, რომ მან მოაწყო „იუვენტუსში" იუგოვიჩის, „სამპდორიაში" მიხაილოვიჩის და სხვა ფეხბურთელთა ცნობილ კლუბებში გადასვლები. ჰოდა, ანტვერპენში ხეირიანად ჩასულიც არ ვიყავი, რომ საკონტროლო მატჩი მათამაშეს. ჩვენი მეტოქე გუნდის სახელი აღარ მახსოვს, ის კი ვიცი, რომ ცნობილი ბელგიელი ფეხბურთელი ერიკ გერეტსი წვრთნიდა. მოკლედ, ის თამაში 1:0 მოვიგეთ და ეს ერთადერთი გოლი მე შევაგდე. „ანტვერპენმა" მყისვე ორწლიანი კონტრაქტი შემომთავაზა. თანახმანი იყვნენ „ომონიასთვის" თანხაც გადაეხადათ, მაგრამ ბოლოსდაბოლოს კონტრაქტის პირობებზე ვერ შევთანხმდით — მე ხომ კვიპროსში კარგი გაკვეთილი მქონდა მიღებული, თანაც ბაბკოვიჩმა შეიტყო, რომ „ანტვერპენს" ფული უჭირდა. მოკლედ, ბელგიიდანაც წამოვედი. კარგადაც მოვიქეცი — ახლა გავარდნაზე აქვთ საქმე.

**— შენ რომ ბელგიაში იყავი, ჟან-მარკ ბოსმანს თავისი „საქმე" უკვე აგორებული ჰქონდა. თვალი ხომ არ მოგიკრავს იმ ბუნტისთავისთვის?**

— ეგ არა და, მეორე, ჰოლანდიელი ბოსმანი კი ვნახე. ბაბკოვიჩმა რატომღაც მითხრა, ამას ევროპაში ფეხბურთელად არ თვლიანო.

**— „ანტვერპენის" მერე იყო წინადადება ბელგრადის „პარტიზანისგან", გუნდიდან, რომელმაც თავდამსხმელი სავო მილოშევიჩი ინგლისის „ასტონ ვილაში" გაყიდა. ბელგრადელები ალბათ მილოშევიჩის შემცვლელს თუ ეძებდნენ. „პარტიზანში" რატომ არ წახვედი?**

— ეს კი მართლა გაუგებარია ჩემთვის. „პარტიზანის" აგენტები მოულოდნელად დამადგნენ თავს და მათაც ორწლიანი კონტრაქტი შემომთავაზეს. თურმე ჩემი თამაშები უნახავთ, მანამდე კი კვიპროსში მოთამაშე ყველა იუგოსლაველისთვის უკითხავთ აზრი ჩემს შესახებ. ყველას ვუქივარ. ბოლოს, ჩემთან „ომონიაში" მოთამაშე ბოლიჩისათვის უთქვამთ, შეძლებს თუ არა „პარტიზანში" თამაშსო. ბოლიჩსაც თურმე ქების სიტყვები არ დაუშურებია. შემდეგ სერბების აგენტებმა ჩემი თამაში ნახეს და მითხრეს, არც გასინჯვა გვინდა, არც სხვა რამე, ჩამოდი ბელგრადში და ორწლიან კონტრაქტზე მოგვიწერე ხელი, თავდასხმაში შენ და მილოშევიჩი ითამაშებთო — მაშინ იგი ჯერ კიდევ არ იყო გადასული „ასტონ ვილაში". „პარტიზანის" პრეზიდენტი მილოშევიჩის მამა გახლდათ. მოკლედ, ბელგრადში წასვლა [illegible] მქონდა, მაგრამ ჩემგან [illegible] უკიდებელი და დამოკიდებული მიზეზების გამო კონტრაქტი არ შედგა მერე კი, უკვე დაგვიანდა. გვიანღა იყო თითზე კბენანი...

**— სხვა კლუბი არ შეგხმიანებია? ნუთუ უთამაშებლობას ერთი სეზონი სადმე თამაში არ სჯობდა?**

— ჩემი ბავშვობის ძმაკაცი, კაკო დევაძე „როსტსელმაშში" მიხმობდა. იქ დევას იმხელა ავტორიტეტი აქვს, ჩასვლა და კონტრაქტზე ხელის მოწერა ერთი იქნებოდა. მაგრამ მერე სხვადასხვა მიზეზების, ძირითადად ოჯახური პირობების გამო გადავწყვიტე, როსტოვში არ წავსულიყავი.

**— მაშ „დინამო" რომ არა, ახლაც უთამაშებელი იქნებოდი.**

— ალბათ. ვარჯიში ვარჯიშად, მაგრამ სად წვრთნა და სად თამაში? ყიფიანთან ჯერ კიდევ კვიპროსში გვქონდა საუბარი ამის თაობაზე. მე, ფაქტიურად, ბავშვობის მერე ყველაზე მეტი ხანი ყიფიანთან მაქვს ნამუშევარი...

**— ახლა „დინამოსთან" შეგუება გიჭირს, ყოველ შემთხვევაში ტრიბუნიდან ასე ჩანს...**

— ეს არცაა გასაკვირი. ჯერ ერთი, გოგიჩაიშვილის გარდა, ფაქტიურად, არავისთან მითამაშია ერთად გუნდში. მეორე კიდევ ისაა, რომ ამ რამდენიმეთვიანმა იძულებითმა შესვენებამ კალაპოტიდან ამომაგდო და ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიშრომო, ძველ დონეს რომ მივაღწიო. ამას მოსკოვის ტურნირის წინ რომ კოჭი გადამიბრუნდა, ისიც დაემატა. მართალია არ მაწუხებს, მაგრამ რაღაცნაირი ფსიქოლოგიური შ[illegible] დამჩემდა — კოჭს ხეირიანად ვერ ვუყრდნობი: ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ დავტვირთო, კვლავ ტრავმას მივიღებ.

**— ნამეტნავად ხომ არ ხარ შეწუხებული ტრავმებით?**

— საზარდულის ტკივილებთან შედარებით არაფერია. საზარდული საშინელება იყო. ისე, ამ უთამაშებლობამ ერთი სიკეთე კი მიყო — ოპერაციის მერე კიდევ მქონდა ტკივილები, მაგრამ მერე, ისეთ დატვირთვებს რომ აღარ ვიღებდი, საზარდულების ტკივილი საერთოდ გამიქრა.

**— ქართველ ფეხბურთელთა „აქილევსის ქუსლი" — საზარდული ვახსენეთ. ზოგს ტრავმით მოსდის, ზოგსაც გაუხურებლობით, ანაც ელემენტარული უყურადღებობით. შენ როგორღა დაგემართა?**

— საზარდულის ტრავმა სულაც არ არის მარტო ქართველ ფეხბურთელთა სატკივარი. იგი მეტ-ნაკლებად ყველას აწუხებს. კვიპროსში იმდენმა ფეხბურთელმა გაიკეთა საზარდულის ოპერაცია, ვერც ჩამოგითვლი. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ფეხბურთში და ფეხბურთელთა ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

**— უცხოეთში ნამყოფი კაცის შინ გაჩერება ძნელია. მითუმეტეს, „დინამოსთან კონტრაქტი მაისამდე გაქვს. სად აპირებ ახალი სეზონიდან გამგზავრებას?**

— ჯერ არ ვიცი. რაღაც-რაღაცა წინადადებების შესახებ ყურმოკვრით გავიგე, მაგრამ არ დავინტერესებულვარ. ისეთი ფორმით, რომელშიც ახლა ვიმყოფები, საზღვარგარეთ კი არა, აქ არ შეიძლება თამაში. იმედი მაქვს, რომ მაისამდე თუ სრულიად არა, თითქმის მთლიანად აღვიდგენ ფორმას. მერე ვნახოთ.

**— დაკვირვებული ვარ — კვიპროსში ლამის ორ მატჩში ზედიზედ არ გცმია ერთიდაიგივე ნომრიანი მაისური. ახლაც, თავდამსხმელის რვა ნომრიანი მაისური გაცვია. არადა, მახსოვს, „ათიანი" გიყვარდა.**

— ნომერს რაღა აზრი აქვს, ამას უკვე აღარ ვანიჭებ მნიშვნელობას. დაე ჩემმა ახალგაზრდა მეგობრებმა ჩაიცვან „პრესტიჟულნომრიანი" მაისურები. როგორ ვუთხრა, ეს ნომერი მომწონს და დამითმეთქი. წავიდა ის დრო...

**— „სამტრედიასთან" პრინციპული მატჩი ნულოვანი ფრე ითამაშეთ. თქვენ ხომ მომზადებითაც, ფეხბურთელთა შერჩევითაც და ბევრი სხვა კომპონენტითაც უფრო მაღლა დგახართ, თამაშში კი მათთვის ვერ გიჯობნიათ.**

— ისეთ ამინდში ფეხბურთს ვერ ითამაშებდი. იმ დღეს „სამტრედიისთვის" კი არა, შეიძლება მასზე გაცილებით სუსტი გუნდისთვის ვერ მოგვეგო. როცა ქარი ერთავად გიშლის ბურთის დამორჩილებას, რა მეტოქის დაჩაგვრაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი. რაც შეეხება სხვა კომპონენტებს, მეორე ტაიმში აშკარად ვაჯობეთ ფიზიკურად, მაგრამ, რად გინდა...

**— ნაკრებში ბოლოს ალბანელებთან ითამაშე. ნაკრების მაისური ისეთი რამეა... არადა იმ ქვეყანაში სათამაშოდ, შენ რომ ყველაზე უკეთ იცი, ნაკრები უშენოდ წავიდა...**

— არა, ახლა გული ნაღდად არ დამწყვეტია. განა შეიძლება ნორმალურ კაცს გსურდეს ის, რასაც მიზეზთა გამო ვერ წვდები? მე დღესდღეობით ნაკრებში სათამაშოდ მზად არ ვარ. თუ მომავალში მოვუმატე, მერე სხვა საქმეა. გული მაშინ უნდა დაგწყდეს, მზად რომ ხარ, ყველას რომ სჯობიხარ და მწვრთნელი მაინც არ გიხმობს.

**— მაშ, მატჩიდან მატჩამდე უნდა ველოდოთ „იმ" ყიზოს?**

— შევეცდები, იგი რაც შეიძლება მალე ვიპოვო...

მამუკა კვარაცხელია

## გუჩუა ჩაჩუას წინააღმდეგ

5 აპრილს ფეხბურთის ფედერაციაში სატრანსფერო კომისიის სხდომა გაიმართა. განიხილეს „სამტრედიის" ფეხბურთელის ვალტერ გუჩუას განცხადება, რომ[illegible]ც ფეხბურთელი კლუბის პრეზიდენტს, ტარიელ ჩაჩუას მის მიერ საკონტრაქტო პირობების შეუსრულებლობის გამო გუნდიდან წასვლას, ხოლო ფედერაციას სხვა რომელიმე კლუბში თამაშის ნებართვას სთხოვს. შეგახსენებთ, რომ გუჩუა ახალგაზრდული ნაკრების წევრია, ხოლო სათამაშო პრაქტიკის არქონა ფეხბურთელს თუავნებს, თორემ არაფერს არგებს. სხდომას კომისიის წევრები ბადრი ქარქაშაძე, მერაბ ჟორდანია, რევაზ ძოძუაშვილი და, რა თქმა უნდა, ტარიელ ჩაჩუა და ვალტერ გუჩუაც ესწრებოდნენ. თათბირმა თითქმის საათნახევარს გასტანა. გუჩუასაც მოუსმინეს და ჩაჩუასაც. ორივე მოდავე მხარეს თავისათვის სასარგებლოდ ისეთი არგუმენტები მოჰყავდა, ცალ-ცალკე მართლები ჩანდნენ. ამიტომ კომისიამ ნაწილობრივ სწორი გადაწყვეტილება მიიღო — ჩაჩუას და გუჩუას 15 აპრილამდე მისცეს ვადა მორიგებისთვის და თუ თვითონ ვერ მორიგდებიან, მაშინ უკვე კომისია გამოიტანს განაჩენს.

რთულ სიტუაციაში ჩავარდა ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელი ვლადიმერ გუცაევიც. ნაკრები შესათამაშებელია, მაგრამ თუ ფეხბურთელებს სათამაშო პრაქტიკა არ ექნათ, რა ქნას მწვრთნელმა?

ისეთი პირი უჩანს, მოქიშპე მხარეები მიცემულ ვადაში ვერ შეთანხმდებიან. დასტურად მათ სიტყვებს მოვიყვან:

ჩაჩუა: ჩვენ გუჩუას მაისის ბოლომდე ყველა საკონტრაქტო პირობას შევუსრულებთ, ამიტომ იგი ვალდებულია სამტრედიაში ჩამოვიდეს და გუნდში თამაში განაგრძოს.

გუჩუა: საერთოდ წავალ ფეხბურთიდან და „სამტრედიაში" არ ვითამაშებ.

მამუკა კვანტალიანი

## რეზო კვლავ საუკეთესოა

1 აპრილს ჩვენებურების „ჰომბურგი", ვესტ-ზუდვესტ რეგიონალლიგაში რომ ასპარეზობს, კარლ მარქსის სამშობლოში, ქალაქ ტრირში იქაურ „აინტრახტს" შეხვდა. „კიკერი" წერს, რომ პირველ ტაიმში ჰომბურგელებს „ეძინათ" და 26-ე წუთზე გოლიც გაუშვეს. მძინარე ჰომბურგელები რეზო არველაძის აქტიურობამ გამოაღვიძა და მეტოქეს შეტევები დაატეხეს თავს. რეზოს წამოწყებული ერთ-ერთი შეტევისას უკრაინელი მუშჩინკა მოცელეს და ბრაზილიელმა და სილვამ 55-ე წუთზე პენალტით ანგარიში გაათანაბრა. „კიკერმა", უკვე ჩვეულებისამებრ, არველაძის გვარი მუქი შრიფტით გამოჰყო (ასე „კიკერი" მატჩის საუკეთესო ფეხბურთელებს აღნიშნავს) და ჰომბურგის ყველა შეტევათა სულისჩამდგმელი უწოდა. ამ თამაშის შემდეგ „ჰომბურგმა" 24 მატჩში 36 ქულა მოაგროვა და მერვე ადგილზე იმყოფება, ხოლო ერთი გამოტოვებული მატჩის მოგება ორი საფეხურითღა თუ წასწევს წინ. მოკლედ, „ჰომბურგს" დარჩენილ თოთხმეტ მატჩში მეორე ბუნდესლიგაში გადასვლის შანსი გადაეწურა. არადა, ამ ლიგიდან ერთის ნაცვლად ზედა ეშელონში ორი გუნდი გადადის, რჩეულთა შორის მოხვედრის შანსს კი სამი გუნდი ინარჩუნებს: „გიუტერლე" — 53 ქულა, „ვუპერტალერი" — 51 და „როტ-ვაის ესენი" — 48. ამ ტურში ქართველები კვლავ ერთმანეთს „დაეტაკნენ": მელორ ბიგვავას „ზაარბრიუკენმა" გიორგი ღუდუშაურის „ზალმრორი" დაამარცხა 2:0. „ზაარბრიუკენი" 40 ქულით მეექვსე ადგილზეა, „ზალმრორი" კი 25 ქულით — მეთოთხმეტეზე. 8 აპრილს „ჰომბურგი" მდევარ „ბოჰოლტს" ხვდება შინ.

## ზუგდიდსაც ეშველა

მეორე წრის დაწყებამდე ზუგდიდურ კლუბს ფინანსურად ძლიერი გაუჭირდა, მაგრამ მწვრთნელებმა და ფეხბურთელებმა იხტიბარი არ გაიტეხეს და სამეორეწრეო სამზადისს ნაადრევად შეუდგნენ. მათი ამგვარი ენთუზიაზმი არ გამოაპარვია რაიონის ხელმძღვანელობას და შეძლებისდაგვარად დახმარებაც გაუწია გუნდს. მერე კი გამოჩნდა ფეხბურთის დიდი მოყვარული, კაცი და კლუბმაც სული მოითქვა. ახლა ზუგდიდურ კლუბს ახალი პრეზიდენტი, პარლამენტის წევრი ბეჟან გუნავა თავკაცობს. გუნდიც უფასებს მას მზრუნველობას და ამაგს: მთელ ენერგიას ხარჯავს და თავდადებით იბრძვის. მაგალითისთვის თბილისის „დინამოსთან" ჩატარებული შეხვედრაც გამოდგება. სწორედ ამ თამაშის მერე შევხვდით ზუგდიდის „დინამოს" ახალ პრეზიდენტს და სამომავლო გეგმებზე გავესაუბრეთ...

— რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ჯგუფში ადგილი უნდა შევინარჩუნოთ. თუ ბიჭები კვლავაც ასე მოინდომებენ, არაფერი გაგვიჭირდება.

**— ასეთი გაჭირვების ჟამს ბევრი პასუხისმგებლობას თავს აარიდებდა, თქვენ კი პირიქით მოიქეცით.**

— გაჭირვებისას არის საჭირო დახმარება, თორემ ქვეყანა რომ დაეწყობა და „ზუგდიდიც" წელგამართული იქნება, მაშინ თვითონ დაეხმარება სხვას.

**— თქვენსავით, რიხით, ბევრი პრეზიდენტი მოსულა, ერთწლიანი გუნდებიც შეუქმნია, მაგრამ მერე შუაგზაზე მიუტოვებია...**

— მიგიხვდით — ანალოგიურად ხომ არ მოიქცევითო, გინდათ მკითხოთ. არა და არა! ეს გამორიცხულია.

**— ისე თავდაჯერებული მპასუხობთ, უკვე ყველაფერი დაგეგმილი გექნებათ.**

— გეგმა შედგენილია, ხოლო მოქმედება დაწყებული. ჩემი საბოლოო მიზანი ზუგდიდში ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებაა. ამისათვის ცოტა სახსრები როდია საჭირო. მე შევხვდი ყველა ზუგდიდელ ბიზნესმენს, რომლებიც ზუგდიდში თუ რაიონისა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოღვაწეობენ. ფინანსურ დახმარებაზე უარი არცერთს არ უთქვამს, სხვა სახსრებიც გამოჩნდება და წარმატების ერთ-ერთი საწინდარიც ხომ სწორედ ეს გახლავთ. თან ადგილობრივი ნორჩების გაზრდას მივხედავთ. ჩამოყალიბებული ფეხბურთელი კარგია, მაგრამ მისი ჩამოყვანა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული და თან ეჭვი მეპარება, ზუგდიდში სათამაშოდ მაღალი კლასის ფეხბურთელი წამოვიდეს.

**— ადგილობრივი კადრების მომზადებას ბავშვებთან დიდი მუშაობა, მათი ინვენტარით მომარაგება და ოფლისღვრა სჭირდება.**

— ზესტაფონელების დარად, ჩვენც აუცილებლად გავხსნით საფეხბურთო ლიცეუმს, სადაც ბავშვები რამდენიმე ასაკობრივ ჯგუფად დაიყოფიან. სამეგრელოში ყოველთვის იბადებოდნენ საფეხბურთო ტალანტები და ისე როგორ იქნება, უახლოეს ხანებში ახალი სახელებიც არ გაიგოთ.

**— თუ ყველაფერი ისე აეწყო, როგორც გეგმავთ, მომავალ სეზონში, გუნდი, ალბათ, სერიოზულ მიზნებს დაისახავს?**

— მერვე ჩემპიონატში ჩვენი მიზანი ხუთეულში მოხვედრა იქნება, მერე კი ვნახოთ, მეტზედაც შეიძლება ფიქრი.

## ახალი მურთაზ ხურცილავა!



გოგა ხურცილავა



მურთაზ ხურცილავა (უფროსი)

1996 წლის 4 აპრილს ხურცილავების ოჯახში ახალი მურთაზ ხურცილავა დაიბადა. ბატონი მურთაზის 25 წლის ვაჟს, ადრე „შევარდენში", „მრეტებსა" და ამერიკაში ნათამაშებ გოგას ვაჟი შეეძინა. ძნელი სათქმელია, როგორი ფეხბურთელი დადგება ეს ოთხი კილოგრამი წონისა და 53 სანტიმეტრის პატარა მურთაზი, მაგრამ ბაბუა ამბობს, რომ იგი უსათუოდ დიდი ფეხბურთელი გამოვა.

## იტალია

### XXVIII ტური

### პარმა 1:0 ნაპოლი

22 700 მაყურებელი

პარმა: ბუჩი (ბუფონი 46), ბენარივო, დი კიარა, მინოტი (კასტელინი 51), აპოლონი, კანავარო, სენსინი, კრიპა, სტოიჩკოვი (პინი 62), ძოლა, ბრამბილა

ნაპოლი: ტალიალატელა, ბორდინი (დი ნაპოლი 18), ტარანტინო, პარი, აიალა, ბალდინი (იმბრიანი 69), ბუზო, ბოლოსიანი (კოლონეზე 56), აგოსტინი, პიცი, პეკია

გოლი: აპოლონი (15)

გაფრთხილება: სენსინი, ბენარივო, აგოსტინი, აიალა

გაძევება: დი კიარა (61), აპოლონი (69)

### კალიარი 0:0 პიაჩენცა

13 000 მაყურებელი

კალიარი: აბატე, პანკარო (სანა 80), პუშედუ (მუცი 51), ვილა, ნაპოლი, ფირიკანო, ბიზოლი, ვენტურინი, ოლივეირა, ლანტინიოტი, ონილი (სილვა 67)

პიაჩენცა: ტაიბი, პოლონია, როსინი, დი ფრანჩესკო, მ. კონტე, ლუჩი, ტურინი, ა. კარბონე, კაჩა, კორინი, პიოვანი (კაპელინი 72)

### ტორინო 1:2 იუვენტუსი

21 196 მაყურებელი

ტორინო: კანიატო, ბაჩი, მილანეზე, სოლიანო, მალტალიატი, დალ კანტო (სომეზე 85), ანგლომა, კრისტალინი, რიციტელი (ლონგო 76), პელე (დიონიჯი 69), ბერნარდინი

იუვენტუსი: პერუცი (რამპულა 32), ფერარა, პესოტო, სოუზა (დელ პიერო 65), ვერხოვოდი, ტორიჩელი, ა. კონტე, დეშამპი, ვიალი, იუგოვიჩი, პადოვანო (რავანელი 46)

გოლი: რიციტელი (32), სოლიანო (50, საკ. კარში), ვიალი (66)

გაფრთხილება: სოუზა, ფერარა, რიციტელი, სოლიანო, მალტალიატი

გაძევება: კრისტალინი (78)

### ფიორენტინა 6:4 პადოვა

37 448 მაყურებელი

ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი (სოტილი 67), ორლანდო, პიაჩენტინი, ამორუზო, პადალინო, შვარცი, რობიატი (ბეტონი 63), ბატისტუტა, რუი კოშტა, ბაიანო (ბანკელი 46)

პადოვა: ბონაიუტი, კუიჩი (სკონციანო 71), გაბრიელი, ნავა, ჯამპიეტრო (კრეკი 58), როზა, ფიორე, ლონგი, ამორუზო, კოპოლა, ვლაოვიჩი

გოლი: ბაიანო (3), რობიატი (40), ბატისტუტა (48, 79 პ), ამორუზო (55, 84), ბანკელი (57), ვლაოვიჩი (59, 61), რუი კოშტა (65)

გაფრთხილება: კოპოლა, კუიჩი, ამორუზო, როზა

### მილანი 0:0 ლაციო

45 000 მაყურებელი

მილანი: როსი, პანუჩი, მალდინი, ალბერტინი (ვიეირა 82), კოსტაკურტა, ბარეზი, დონადონი, დესაი, სიმონე, სავიჩევიჩი, რ. ბაჯო (ერანიო 63)

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ფავალი (გოტარდი 77), დი მატეო, შამოტი, ნესტა, ესპოზიტო, ფუზერი, ბოკშიჩი, ვინტერი, კაზირაგი

გაფრთხილება: ბარეზი

### რომა 2:1 უდინეზე

50 000 მაყურებელი

რომა: ჩერვონე, ე. ანონი, კარბონი, დი ბიაჯო (ბერეტა 90), ალდაირი, ლანა, მორიერო, სტატუტო (კაპიოლი 60), დელვეკიო, ჯანინი (სკარჩილი 80), ტოტი

უდინეზე: გრეგორი, პელვეგი, ბერტოტო, ამეტრანო (პელეგრინი 75), კალორი, ბია, როსიტო, დეზიდერი, ბირპოფი, შალიმოვი (სტროპა 70), პოჯი (მარინო 68)

გოლი: დელვეკიო (18), მორიერო (55), მარინო (90)

გაფრთხილება: დი ბიაჯო, ჯანინი, ბია, დეზიდერი, ბირპოფი

### ვიჩენცა 1:0 ატალანტა

15 325 მაყურებელი

ვიჩენცა: მონდინი, სარტორი, დიგნაციო, დი კარლო, ბიორკლუნდი, ვივიანი, ამბროზეტი (ლომბარდინი 92), მ. როსი (ბელოტი 88), მურჯიტა, მაინი, ოტერო (ამერინი 78)

ატალანტა: ფერონი, ბონაჩინა, ა. პაგანინი, ერერა (ძანჩი 56), ვალენტინი, მონტერო, სგრო, გალო (პიზანი 68), ვიერი, ფორტუნატო, მორფეო (ტოვალიერი 77)

გოლი: როსი (65)

74-ე წუთზე ოტერომ ვერ გაიტანა პენალტი

გაფრთხილება: დი კარლო, მურჯიტა

გაძევება: მონტერო (76)

### სამპდორია 2:0 ბარი

26 000 მაყურებელი

სამპდორია: ძენგა, ბალერი, ევანი (საკეტი 46), ინვერნიცი (ფრანჩესკეტი 79), მანინი, მიხაილოვიჩი, აბატე (მანიერო 56), კარემბუ, კიეზა, მანჩინი, სალსანო

ბარი: ფონტანა, პარენტე (პ. ანონი 64), მანიგეტი, ყერსონი, სალა, მონტანარი, გაუტიერი (მანგონე 61), პედონე, ანდერსონი, ინგესონი, პროტი

გოლი: მანიერო (70), მანჩინი (83)

გაფრთხილება: სალსანო, მანჩინი, კარემბუ, სალა, ყერსონი, პედონე

### კრემონეზე 2:4 ინტერი

14 000 მაყურებელი

კრემონეზე: ტურჩი (რაცეტი 46), გუალკო, ან. ორლანდო, ჯანდებიაჯი, დალ ინია, ვერდელი, პეტრაკი, პეროვიჩი (კრისტიანი 57), ფლორიანჩიჩი (ალოიზი 67), მასპერო, ტენტონი

ინტერი: პალიუკა, ბერგომი, კარლოსი, ფრეზი, პისტონე, მ. პაგანინი, ძანეტი, ინსი (კინეტი 50), ბრანკა, ბ. კარბონე, ფონტოლანი (დელ ანო 77)

გოლი: ინსი (I ტაიმის 50-ე), ტენტონი (52, 86), ძანეტი (55), პისტონე (80), ბრანკა (95)

გაფრთხილება: პეტრაკი, ინსი, კარბონე, ფონტოლანი, ბრანკა

გაძევება: გუალკო (91), ფრეზი (91)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 28 | 17 | 9 | 2 | 46:17 | 60 |
| იუვენტუსი | 28 | 16 | 6 | 6 | 49:26 | 54 |
| ფიორენტინა | 28 | 15 | 8 | 5 | 49:29 | 53 |
| ინტერი | 28 | 13 | 8 | 7 | 39:23 | 47 |
| პარმა | 28 | 12 | 10 | 6 | 36:26 | 46 |
| რომა | 28 | 12 | 9 | 7 | 37:27 | 45 |
| ლაციო | 28 | 12 | 7 | 9 | 51:33 | 43 |
| სამპდორია | 28 | 11 | 8 | 9 | 46:41 | 41 |
| ვიჩენცა | 28 | 11 | 8 | 9 | 30:30 | 41 |
| უდინეზე | 28 | 9 | 7 | 12 | 33:39 | 34 |
| კალიარი | 28 | 9 | 7 | 12 | 28:40 | 34 |
| ატალანტა | 28 | 9 | 6 | 13 | 30:43 | 33 |
| ნაპოლი | 28 | 7 | 11 | 10 | 23:34 | 32 |
| პიაჩენცა | 28 | 7 | 8 | 13 | 26:46 | 29 |
| კრემონეზე | 28 | 5 | 10 | 13 | 34:44 | 25 |
| ტორინო | 28 | 5 | 10 | 13 | 26:40 | 25 |
| ბარი | 28 | 5 | 7 | 16 | 38:59 | 22 |
| პადოვა | 28 | 6 | 3 | 19 | 34:58 | 21 |

## გერმანია

26-ე ტური. ურდინგენი — კარლსრუე 2:3; კაიზერი — შალკე 0:0; შტუტგარტი — ჰანზა 1:1; ზანქტ პაული — აინტრახტი 2:1; მიუნხენი — ჰამბურგი 5:0; ლევერკუზენი — კიოლნი 1:2; ფრაიბურგი — ფორტუნა 1:1; დორტმუნდი — ვერდერი 1:1; მიონხენგლადბახი — ბაიერნი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 26 | 17 | 2 | 7 | 55:34 | 53 |
| დორტმუნდი | 25 | 15 | 7 | 3 | 61:27 | 52 |
| გლადბახი | 25 | 13 | 5 | 7 | 41:37 | 44 |
| შტუტგარტი | 26 | 9 | 11 | 6 | 50:47 | 38 |
| შალკე | 25 | 9 | 11 | 5 | 30:27 | 38 |
| ჰამბურგი | 25 | 8 | 10 | 7 | 37:38 | 34 |
| ფრაიბურგი | 26 | 9 | 7 | 10 | 24:30 | 34 |
| მიუნხენი | 26 | 8 | 9 | 9 | 40:38 | 33 |
| კარლსრუე | 26 | 8 | 9 | 9 | 37:39 | 33 |
| ზანქტ პაული | 26 | 8 | 8 | 10 | 36:40 | 32 |
| ლევერკუზენი | 25 | 7 | 10 | 8 | 29:24 | 31 |
| ჰანზა | 24 | 7 | 10 | 7 | 36:33 | 31 |
| ვერდერი | 26 | 6 | 13 | 7 | 26:31 | 31 |
| კიოლნი | 26 | 5 | 12 | 9 | 23:28 | 27 |
| ფორტუნა | 26 | 5 | 12 | 9 | 27:41 | 27 |
| აინტრახტი | 26 | 6 | 8 | 12 | 35:50 | 26 |
| კაიზერი | 25 | 4 | 13 | 8 | 21:30 | 25 |
| ურდინგენი | 26 | 2 | 11 | 13 | 24:42 | 17 |

## ჰოლანდია

30-ე ტური. ვოლენდამი — გოუ ეპედი 2:1, გრონინგენი — ვილემ II 3:0, ჰერენვენი — უტრეხტი 4:2, ტვენტე — ფორტუნა 1:0, ნიიმეგენი — ვაალვიკი 2:1, ეინდჰოვენი — ვიტესი 1:0, აიაქსი — ბრედა 2:0, სპარტა — ფეიენოორდი 0:0,

8 აპრილი. აიაქსი — ეინდჰოვენი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 30 | 23 | 4 | 3 | 87:19 | 73 |
| ეინდჰოვენი | 30 | 21 | 5 | 4 | 90:21 | 68 |
| ფეიენოორდი | 30 | 14 | 9 | 7 | 54:34 | 51 |
| ტვენტე | 30 | 14 | 6 | 10 | 44:46 | 48 |
| ბრედა | 29 | 12 | 10 | 7 | 51:32 | 46 |
| სპარტა | 30 | 12 | 10 | 8 | 47:46 | 46 |
| ჰერენვენი | 29 | 12 | 10 | 7 | 56:57 | 46 |
| როდა | 29 | 11 | 11 | 7 | 37:33 | 44 |
| ვიტესი | 29 | 12 | 7 | 10 | 41:40 | 43 |
| გრონინგენი | 30 | 10 | 13 | 7 | 37:37 | 43 |
| ვაალვიკი | 29 | 10 | 8 | 11 | 39:40 | 38 |
| ვილემ II | 29 | 9 | 9 | 11 | 47:47 | 36 |
| ფორტუნა | 30 | 6 | 10 | 14 | 23:49 | 28 |
| ვოლენდამი | 28 | 6 | 6 | 16 | 21:53 | 24 |
| გრააფსხაპი | 29 | 5 | 8 | 16 | 31:61 | 23 |
| გოუ ეპედი | 28 | 5 | 7 | 16 | 38:54 | 22 |
| ნიიმეგენი | 30 | 5 | 7 | 18 | 30:68 | 22 |
| უტრეხტი | 29 | 3 | 8 | 18 | 20:56 | 17 |

## ისევ «რეინჯერსმა» მოიგო

შოტლანდიის ჩემპიონის ვინაობა „რეინჯერს" — „სელტიკის" შეხვედრებში ირკვევა. როგორც წესი, გლაზგოური დერბი ყოველთვის ფატალურია. ბოლო წლებში „რეინჯერსი" მძლავრობს. ახლაც, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ტიტულს კვლავ იგი მოიპოვებს. ეს ცხადია ამაყი „სელტიკის" თავმოყვარეობას ლახავს და ამიტომაც თასის ნახევარფინალურ მატჩს, ძველ მტრებს შორის, გლაზგოში მოუთმენლად ელოდნენ. ბედმა ხომ მათი ფინალის ცქერა არ ისურვა და ადრე შეახვედრა ერთმანეთს.

„ჰემპდენ პარკზე" „სელტიკის" წაუგებელ თამაშთა მწკრივი 30-ზე გაწყდა. „რეინჯერსმა" არც სათასო მატჩში მოიხარა ქედი. პირველ ტაიმში 43-ე წუთამდე განსაკუთრებულად მწვავე მომენტი არ შექმნილა. 43-ზე კი ალი მაკკოისტმა ახლო მანძილიდან გახსნა ანგარიში. შესვენების შემდეგ 66-ზე ბრიან ლაუდრუპმა მეორე შეაგდო და „რეინჯერსი" ორი ბურთით დააწინაურა. ისედაც შელახული თავმოყვარეობა „სელტიკს" თამაშის ასე დამთავრების ნებას როგორ მისცემდა და ჰოლანდიელმა პიერ ვან ჰოაიდონკმა დროის ამოწურვამდე 9 წუთით ადრე სხვაობა შეამცირა. ეს გოლი ვან ჰოაიდონკის 27-ე იყო სეზონში.

# ამერიკა ვინალდას გოლით იწყებს

სან ხოსე: ლაინერი, მარტინი, ემენალო, დეიაკი, ბრავო, იროპა (ლუისი 88), მელა, როდასი (პოლიჩერი 78), ვინალდა, ბეიჩერი

ვაშინგტონი: კოზი, ფაზლაგიჩი, აგუსი, ლი, გორი, ვილიამსი (იმლერი 87), პ არქსი, ეჩევერი, მედვედი (პავილერი 70), სუარესი, დიას არკი

სან ხოსეში ყველაფერი ამერიკულად ჩატარდა. 31 683 მაყურებელი, ბავშვები, ბატი-ბუტი, ჭრელი კანფეტები, როკ მუსიკა და აშოლტილი ქალიშვილები... ასე გაიხსნა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში. მთავარი საფეხბურთო ლიგის, ანუ MSL-ის პირველ მატჩში „სან ხოსე კლეშმა" „ვაშინგტონ იუნაიტედს" უმასპინძლა. თამაში, ლიგის თავკაცის, ალან როზენბერგის გულის გასახეთქად 0:0 მთავდებოდა, მაგრამ საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე, იქაურ ფორვარდთა ფორვარდმა ერიკ ვინალდამ, რომელსაც დიდი გამოცდილება გერმანიის ბუნდესლიგაში აქვს შეძენილი (მსოფლიოს პირველობაზე აღარა რომ ვთქვათ), ლამაზი გოლი გაიტანა და დღესასწაული დაამშვენა. ისტორიულ, პირველ მატჩში გატანილი გოლიც, თავისთავად ცხადია, ისტორიულია. დაკვირვებული კაცი დაგვეთანხმება, რომ ასეთ შეხვედრებში ყველაფერი ისტორიული ხდება ხოლმე. მაგალითად, ყვითელი ბარათი. ისტორიული გაფრთხილება ვაშინგტონელმა თავდამსხმელმა რაულ დიას არკმა მიიღო, თანაც მეოთხე წუთზევე, როდესაც „სან ხოსეს" ნიგერიელი მცველი მაიკლ ემენალო წააქცია.

თამაშში მაინცდამაინც ბევრი მომენტი არ შექმნილა. მე-15 წუთზე კარგი შანსი ქონდა მასპინძელთა ჩილელ მოთამაშეს ვიქტორ მელას. მე-20-ზე სტუმარმა ჯეფ ეგუსმა, რომელიც აშშ-ის ნაკრების წევრია, ბურთი დაჰკარგა, სან ხოსელმა მცველმა ტიმ მარტინმა კი ამით ისარგებლა და დაარტყა, ოღონდ ხარიხას გადააცილა. მეორე ტაიმში ცნობილმა ბოლივიელმა მარკო ეჩევერიმ გააცუდა ორი შესაძლებლობა.

— ვიმედოვნებ, თანდათან თამაშის ხარისხიც გაუმჯობესდება — თქვა მატჩის შემდეგ აშშ-ის ნაკრების მწვრთნელმა სტივ სემპსონმა. — დღესაც, თამაში რაც მეტად გახურდა, მით უკეთ ირჯებოდნენ ფეხბურთელები. ისიც გასათვალისწინებელია, რომ გუნდები ხუთი კვირის შეკრებილნი არიან და შეთამაშება აკლიათ.

დამარცხებულთა თავკაცი ბრუს არინა დიდად კმაყოფილი ვერ იყო: — ვერ მოვემზადეთ ჯეროვნად. ვაშინგტონში ისეთი ამინდებია, მინდორზე სავარჯიშოდ ვერ გავედით. ორივე გუნდს ეტყობოდა, რომ სეზონის პირველ მატჩს თამაშობდნენ. გარდა ამისა, ბოლო კვირეებში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი შევიძინეთ და შეთამაშებაც გვაკლდა.

— ვერ აგიღწერთ იმ სიხარულს გოლის გატანამ რომ განმაცდევინა. ეს გოლი ჩემთვის გაცილებით მეტს ნიშნავდა ვიდრე ნებისმიერი, რაც კი ოდესმე გამიტანია. — ერიკ ვინალდა სიხარულით მეცხრე ცას ეწია.

## ესპანეთი

35-ე ტური. სოსიედადი — ოვიედო 0:0; ატლეტიკი — სალამანკა 3:1; კომპოსტელა — ტენერიფე 0:2; ვალენსია — ალბასეტე 1:0; ბარსელონა — სოსიედადი 1:0; ბეტისი — სანტანდერი 2:2; ოვიედო — ატლეტიკო 1:1; რეალი — ხიხონი 0:1; რაიო ვალეკანო — სევილია 0:0; სარაგოსა — ესპანიოლი 1:1; მერიდა — სელტა 2:0; ვალიადოლიდი — დეპორტივო 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 35 | 22 | 7 | 6 | 61:24 | 73 |
| ბარსელონა | 35 | 20 | 10 | 5 | 60:29 | 70 |
| ვალენსია | 35 | 21 | 4 | 10 | 65:41 | 67 |
| ესპანიოლი | 35 | 16 | 12 | 7 | 48:29 | 60 |
| ბეტისი | 35 | 15 | 13 | 7 | 54:39 | 58 |
| ტენერიფე | 35 | 16 | 10 | 9 | 61:48 | 58 |
| რეალი | 35 | 15 | 9 | 11 | 63:48 | 54 |
| კომპოსტელა | 35 | 16 | 6 | 13 | 42:46 | 54 |
| დეპორტივო | 35 | 13 | 12 | 10 | 55:33 | 51 |
| სოსიედადი | 35 | 13 | 11 | 11 | 43:43 | 50 |
| სელტა | 35 | 10 | 12 | 13 | 38:43 | 42 |
| სანტანდერი | 35 | 10 | 12 | 13 | 39:54 | 42 |
| ოვიედო | 35 | 10 | 11 | 14 | 36:47 | 41 |
| ხიხონი | 35 | 11 | 7 | 17 | 44:47 | 40 |
| სარაგოსა | 35 | 9 | 13 | 13 | 41:49 | 40 |
| ატლეტიკი | 35 | 9 | 12 | 14 | 34:47 | 39 |
| რაიო ვალეკანო | 35 | 10 | 8 | 17 | 38:59 | 38 |
| სევილია | 35 | 8 | 13 | 14 | 34:48 | 37 |
| ვალიადოლიდი | 35 | 8 | 12 | 15 | 43:53 | 36 |
| ალბასეტე | 35 | 8 | 9 | 18 | 44:64 | 33 |
| მერიდა | 35 | 7 | 12 | 16 | 30:51 | 33 |
| სალამანკა | 35 | 6 | 9 | 20 | 42:67 | 27 |

## ინგლისი

# ლიდერებიც აგებენ

„ქოვენთრიმ" „ლივერპულს" მოუგო, ლიგიდან გავარდნის ხიფათი შეამცირა და ტიტულისთვის მებრძოლ მრისხანე მეტოქესაც გვარიანი კვანტი გამოსდო. თუმცა ეს კვანტი არაფერია იმასთან, მასპინძელთა თავდამსხმელმა ჯონ სალაკომ სტუმარ სტივ ჰარკნესს რომ უთავაზა. სალაკო ორიოდ წუთის შესული იყო მოედანზე, მეტოქის საჯარიმოში ჰარკნესს უხეშად რომ ეტაკა და საშინელი ტრავმა მიაყენა. საბრალო ლივერპულელი საკაცით გაასვენეს მოედნიდან. ეს ამბავი მე-60 წუთზე მოხდა. მსაჯმა პიერ ჯონსმა დამნაშავე მხოლოდდამხოლოდ ყვითელი ბარათით დასაჯა. ამის შემდეგ გაავებული სტუმრები ფეხბურთზე იმდენს არ ფიქრობდნენ, რამდენსაც შურისძიებაზე. რობი ფაულერმა, ჯეისონ მაკატირმა და ჯეიმი რედნეპმა ყველა ღონე იხმარეს საზიზღარი სალაკოს დასასახიჩრებლად, მაგრამ ვერც მას დააკლეს რაიმე და ვერც მის გუნდს.

დასაწყისი კი „ქოვენთრის" კარგს არაფერს უქადდა — ორ პასს ვერ აწვდიდნენ ერთმანეთს გამართულად. თუმცა არც სტუმრები იყვნენ ვაჟკაცურად. ტრავმების და დისკვალიფიკაციის გამო სამი ცენტრალური მცველი რაიტი, რადოკი და ბები აკლდათ, მათი ნაცვალი ჰარკნეს — მატეო — სკეილსის ტრიო კი ისე კარგად ვერ თამაშობდა. მე-18 წუთზე მაკატირმა ჩაწოდა. ეს პასი, რომელიც წესით მეკარე დევიდ ჯეიმსს უნდა ჩაეჭრა, ნოილ ვილანმა გოლად აქცია.

ლივერპულის მეორე გუნდს „ევერტონს" კი მომავალ სეზონში უეფას თასზე შეუძლია გასვლა. სამაგიეროდ, მისი იმდღევანდელი მეტოქე, ფრიად დაჩაგრული „ბოლტონი", ალბათ მაინც გავარდება. 21-ე წუთზე, მასპინძლები რომ დაწინაურდნენ, სტუმრები ათნი იყვნენ მოედანზე. მათ დაშავებული ცენტრალური მცველი საიმონ ქოულმენი ვერ ეხმარებოდათ, შვეიცარიელმა მარკ ჰოტიგერმა კი ახალ კლუბში პირველი გოლი გაიტანა. ეს ასე მოხდა: კუთხური ენდი ჰონჩკიფმა ჩააწოდა, დანკან ფერგიუსონმა თავით გატანა სცადა, მაგრამ კრის ფეარკლაფმა არ შეუშვა. ფერგიუსონმა კვლავ დარტყმა სცადა, ბურთი ჰოტიგერისკენ გაგორდა და შვეიცარელმა შეაგდო.

„ევერტონის" მეკარე, ქართველებისთვის უელსის ნაკრებიდან ცნობილი ნევილ საუთჰოლი მაინცდამაინც არ შეუწუხებიათ, „ბოლტონის" გოლკიპერი გეივინ ვორდი კი, რომელიც „ბლედფორდს სიტიდან" გადმოსვლის მერე მეორეჯერ თამაშობდა ახალ გუნდში ოფლად იღვრებოდა. ვორდმა მაინც ვერ დაიცვა კარი მეტი გოლისგან. 86-ზე ანდრეი კანჩელსკისმა ჰ ინჩკლიფის გრძელი პასით შეაგდო, ბოლო წუთზე კი დანიელ ამოკაჩიმ სამამდე გაზარდა ანგარიში.

„ნიუკასლმა" პიტერ ბერდსლის მიერ ოთხ წუთში გატანილი ორი გოლით „ქუინზ პარკს" სამი ქულა გამოგლიჯა ხელიდან და კვლავ ჩემპიონობისთვის იბრძვის. სტუმართა მწვრთნელმა რეი უილკინსმა ნიუკასლელ კოლეგასა და ყოფილ თანაგუნდელს ინგლისის ნაკრებიდან, კევინ კიგანს ისეთი ტაქტიკა დაუპირისპირა, რომ „ქუინზ პარკმა" მატჩის დასაწყისში ინიციატივა იპყრო ხელთ. ამას არავინ ელოდა. მეექვსე წუთზე ბოლო დროს ქომაგთაგან ათვალწუნებულ კიგანს ფაუსტინო ასპრილიამ და რობერტ ლიმ ცოტა პირი მოჰბანეს. მათი თითოშეხებიანი სწრაფი კომბინაცია ლის დარტყმით გაგრძელდა, მაგრამ იურგენ სომერის მიერ ბურთის მოგერიებით დამთავრდა. მე-18 წუთზე უკეთესი მომენტი „ქუინზ პარკის" კევინ გალენს ქონდა, მაგრამ ვერ შეაგდო. 25-ზე დავიდ ჟინოლამ „ბეოლტონის" ფეხბურთელები მართლა შეაშინა, როდესაც მარცხენა ფრთიდან შეიჭრა, მაგრამ ბადეს გარედან მოარტყა. ტაიმის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ლეს ფერდინანდს შეეძლო თავისი ყოფილი გუნდისთვის შეეგდო.

გოლები მეორე ტაიმში გავიდა. 54-ზე სტუმარმა ჰოლოვეიმ გახსნა ანგარიში. შემდეგ კი მასპინძლებმა, რომელთაც წაგება და ფრე ხელს არაფრით აძლევდა. ძალღონე მოიკრიბეს. კიგანმა ლის ნაცვლად კეით გილესპი შეიყვანა მოედანზე. ახალშესულმა ახალი ცეცხლი დაანთო და 35 წლის ბერდსლიმ ორი გოლი გაიტანა.

„საუთჰემპტონმა" კი მეტ ლეტისიეს გოლით კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა უსაფრთხო ზონისკენ. თამაშის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე „ბლექბერნ როვერსის" კარში პენალტი დაინიშნა. ლეტისიემ, რომელსაც ნოემბრის მერე გოლის გატანა ვერაფრით მოეხერხებინა, შეაგდო. მასპინძელთა რიგებში სასამართლოებში სირბილსა და დავიდარაბის შემდეგ პირველად გამოჩნდა მექრთამეობაში ეჭვმიტანილი გოლკიპერი ბრუს გრობელაარი.

### ქოვენთრი 1:0 ლივერპული

23 137 მაყურებელი

ქოვენთრი: ოგრიზოვიჩი, ბოროუზი (სალაკო 57), პიკერინგი, [illegible], [illegible], თელფერი, ნდლოვუ ([illegible] 57), [illegible], დაბლინი, ვილანი

ლივერპული: ჯეიმსი, ჯოუნზი (რაში 73), ჰარკნესი (თომასი 62), სკეილზი, მატეო, მაკატირი, მაკმანამანი, რედქნაპი, კოლიმორი, ბარნსი, ფაულერი

გოლი: ვილანი (18)

გაფრთხილება: ბოროუზი, თალფერი, სალაკო, ნდლოვუ, მაკატირი

### ევერტონი 3:0 ბოლტონი

37 974 მაყურებელი

ევერტონი: საუთჰოლი, ჰოტიგერი, უატსონი, ანსუორსი, ჰინქლიფი, კანჩელსკისი, ჰორნი, პარკინსონი, გრანტი (ებრელი 80), ფერგიუსონი, ამოკაჩი

ბოლტონი: ვარდი, ბერგსონი, ფილიპსი, ფაირკლაფი, კოულმენი, გრინი (დე ფრეიტასი 59), სტაბსი, კურჩიჩი, სელარსი, პაატალაინენი (ბლეიკი 73), მაკგინლი

გოლი: ჰოტიგერი (21), კანჩელსკისი (86), ამოკაჩი (90)

გაფრთხილება: ფილიპსი, სელარსი, მაკგინლი

### არსენალი 2:1 ლიდსი

37 619 მაყურებელი

არსენალი: სიმენი, კიოუნი, ლინიგენი, მარშალი, დიქსონი, მერსონი, პლატი, ბერხკამპი, ვინთერბერნი, რაიტი, პარლორი

ლიდსი: ლუკიჩი, კელი, პართი, პალმერი, რადებე, ვეზეროლი, გრეი, ბროლინი, მაკალისტერი, სპიდი, დინი

გოლი: რაიტი (44, 90), დინი (53)

გაფრთხილება: მარშალი, რაიტი, პარლორი, პალმერი

### ჩელსი 1:2 ასტონ ვილა

23 530 მაყურებელი

ჩელსი: ჰიჩკოკი, მინტო, გულიტი, სპენსერი, ვაიზი (ჰიკოკი 66), ბარლი (სპეკმენი 66), ფარლონგი, მაიერსი, ლი, პეტრესკუ, დაბერი

ასტონ ვილა: ბოზნიჩი, ჩარლზი, სთოინთონი (ჯონსონი 23), მაკგრათი, ტეილორი, დრაპერი, მილოშევიჩი, თაუნსენდი, რაიტი, ეჰიოგუ, იორკი

გოლი: სპენსერი (6), მილოშევიჩი (39), იორკი (59)

გაფრთხილება: დაბერი, ტეილორი, თაუნსენდი

### ნიუკასლი 2:1 ქუინზ პარკი

36 583 მაყურებელი

ნიუკასლი: ჰისლოფი, ვათსონი, ბერესფორდი, პიკოკი, ალბერი, ბეტი, ლი (ჯილესპი 67), ბერდსლი, ჟინოლა, ფერდინანდი, ასპრილია

ქუინზ პარკი: სომერი, ბერდსლი, მაკდონალდი, ეითსი, ბრევეთი, ვილკინსი, ჰოლოვეი, იმფი, სინკლერი, დიჩიო (ჰეიტლი 76), გალენი

გოლი: ჰოლოვეი (53), ბერდსლი (77, 81)

გაფრთხილება: ჟინოლა

### ნოტინგემი 2:1 ტოტენჰემი

27 053 მაყურებელი

ნოტინგემი: გროსლი, ლიტლი, პირსი, კუპერი, ჩეთლი, სტოუნი, ლი, ვოანი, მაკგრეგორი (გინენი 87), ბარტ-ვილიამსი, როი (ჰაალანდი 46)

ტოტენჰემი: უოქერი, ოსტინი, ჰოუელზი (ედინბურგი 76), ფოქსი, შერინგემი, არმსტრონგი, დოზელი, ნეზერქოთი, ვილსონი, კემპბელი, სინტონი (როზენტალი 74)

გოლი: სტოუნი (40), ვოანი (62), არმსტრონგი (80)

გაფრთხილება: პირსი, კუპერი

### საუთჰემპტონი 1:0 ბლექბერნი

გოლი: ლე ტისიე (80 პ)

### ვესტ ჰემი 1:1 უიმბლდონი

გოლი: 1:0 დიქსი (7), 1:1 ჯოუნზი (11)

### მიდლსბრო 3:1 შეფილდი

გოლი: 1:0 ფიორტოფტი (54), 1:1 ჰემბრიჯი (55), 2:1 ფიორტოფტი (67), 3:1 ფრისთოუნი (71)

ჩემპიონობის პრეტენდენტთა დარჩენილი თამაშების განრიგი:

**მანჩესტერ იუნაიტედი**

13 აპრილი
საუთჰემპტონი — იუნაიტედი
17 აპრილი
იუნაიტედი — ლიდსი
28 აპრილი
იუნაიტედი — ნოტინგემი
5 მაისი
მიდლსბრო — იუნაიტედი

**ნიუკასლი**

14 აპრილი
ნიუკასლი — ასტონ ვილა
17 აპრილი
ნიუკასლი — საუთჰემპტონი
29 აპრილი
ლიდსი — ნიუკასლი
2 მაისი
ნოტინგემი — ნიუკასლი
5 მაისი
ნიუკასლი — ტოტენჰემი



## ფეხბურთის რუკასთან



ბრაზილიურმა „გრემიომ“, რომელიც „კოპა ლიბერტადორესის“ მფლობელია და დეკემბერში ამსტერდამის „აიაქსთან“ საკონტინენტთაშორისო თასი წააგო, რეკოპას თასი მოიპოვა. ამ პრიზს ერთმანეთს სამხრეთ ამერიკის ორი პრესტიჟული შეჯიბრების, „კოპა ლიბერტადორესისა“ და სუპერთასის გამარჯვებულები ეცილებიან. იგი ევროპული სუპერთასის იქაური ვარიანტი გახლავთ, ოღონდ ევროპელთაგან განსხვავებით სამხრეთამერიკელები, აგერ უკვე მეოთხე წელიწადია, გამარჯვებულს თავის კონტინენტზე კი არა, იაპონიაში არკვევენ. კვირას, 4 აპრილს ერთმანეთის პირისპირ „გრემიო“ და არგენტინული „ინდეპენდიენტე“ წარდგნენ. ბრაზილიელებმა მოიგეს 4:1. შეხვედრა, რასაკვირველია, ერთობ უხეში გამოდგა. გუნდებმა ოთხ-ოთხჯერ გამოსტყუეს მსაჯს ყვითელი ბარათი. ძირითადად „გრემიო“ უტევდა, თუმცა თავდამსხმელების ნაცვლად ტრავმა ამ გუნდის მეკარემ, ბრაზილიის ოლიმპიური ნაკრების წევრმა დარნლეიმ მიიღო. მან პირველი ტაიმის შუაში თითი იტკინა და მურილოთი შეცვალეს. პირველ ტაიმში, 25-ე წუთზე, 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა ხორხე ბურუჩაგამ პენალტი გაიტანა, მაგრამ ბრაზილიელმა ქარდელმა ორჯერ შეაგდო. მეორეში „გრემიოს“ კაპიტანმა ადილსონმა ანგარიში სამამდე გაზარდა, პაოლო ნუნესმა კი მეოთხე და საბოლოო მიაყოლა. „გრემიო“ პირველად დაეუფლა რეკოპას თასს.

**ინგლისში** „ნოტინგემ ფორესტის“ ყოფილი მწვრთნელი, 61 წლის ბრაიან კლაფი კვლავ ქალაქ დერბის საავადმყოფოში დააწვინეს. კლაფს ფილტვების დაავადებასა და გამიზეზებულ, ძველ მუხლის ტრავმას მკურნალობენ. ამბობენ, ავადმყოფი სენს ერევა და რამდენიმე დღეში გაეწერებაო.

**მაროკოს** თასის ფინალი ქვეყნის ფინანსურ ცენტრ ფეჰში გაიმართა. „რაია კასაბლანკამ“ დამატებით დროში მოუგო „სამეფო შეიარაღებულ ძალებს“ — 1:0. გამარჯვების გოლი 119-ე წუთზე აბდელატიფ ირინდომ გაიტანა. თამაშს 10 ათასი გულშემატკივარი დაესწრო.

**საფრანგეთის** ლიგის თასი მოიპოვა „მეცმა“. მან „ლიონთან“ ულიმღამო თამაშში, სადაც ორი მომენტი დამატებითი დროის მიწურულსღა გახერხდა, პენალტებში იმარჯვა. ფორვარდმა სირილ პოჟემ ბოლო დარტყმით, ზუსტად რომ შეასრულა და ანგარიში 5:4 გახადა, თავის გუნდს უეფას თასზე გამსვლელი ადგილი მოუპოვა. ამ, გამარჯვების პენალტამდე მეკარე ჟაკ სონგომ მოიგერია „ლიონის“ ბრაზილიელი მოთამაშის, მარსელოს დარტყმული. ფეხბურთელებმა პირველი დარტყმებიც ააცილეს. ჯერ ლიონელმა სტეფან როშმა გადააცილა ხარიხას, შემდეგ კი „მეცის“ კაპიტანმა სილვან კასტენდემ გაიმეორა იგივე. მატჩის შემდეგ სტადიონიდან გასულმა ქომაგებმა კი, ლიგის თასის ფინალის ტრადიციის შესაბამისად, გვარიანი მუშტი-კრივი ატეხეს.

**ბრენადამ** მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებაში კვირას, გვიანას 6:0 მოგების შემდეგ, წინ წაიწია. პირველი შეხვედრა მათ 2:1 ჰქონდათ მოგებული. გვიანას კარში სამჯერ კევინ ფლეტჩერმა გაიტანა, დანარჩენი გოლების ავტორები კი რიკი ჩარლზი, ჯეისონ ფრენსისი და ენდრიუ მანრო (ავტოგოლი) არიან. ახლა, მეორე ეტაპზე გასული გრენადა ჰაიტის შეხვდება, მათ შორის მოგებული კი ან კუბას შეებრძოლება, ან კაიმანის კუნძულებს. აქ გამარჯვებული მოხვდება შესარჩევ ჯგუფში, სადაც კანადა, სალვადორი და პანამა ან ბელიზი არიან განთესილნი.

## შოტლანდია

6 აპრილი. აბერდინი — პართსი 2:1, ფალკირკი — რეით როვერსი 2:3, მოზერველი — ჰიბერნიანი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 31 | 23 | 6 | 2 | 71:21 | 75 |
| სელტიკი | 31 | 20 | 10 | 1 | 59:20 | 70 |
| აბერდინი | 31 | 14 | 5 | 12 | 45:38 | 47 |
| პართსი | 31 | 13 | 5 | 13 | 47:50 | 44 |
| რეით როვერსი | 32 | 11 | 6 | 15 | 36:49 | 39 |
| მოზერველი | 32 | 9 | 11 | 12 | 25:31 | 38 |
| ჰიბერნიანი | 32 | 10 | 8 | 14 | 39:53 | 38 |
| კილმარნოკი | 31 | 9 | 7 | 15 | 35:48 | 34 |
| პარტიკი | 31 | 8 | 5 | 18 | 25:49 | 29 |
| ფალკირკი | 32 | 6 | 5 | 21 | 29:52 | 23 |

## რუსეთი

მე-6 ტური. როსტსელმაში — ალანია 1:2, ტორპედო — ბალტიკა 2:2, კრილია — ცსკა 1:0, ნოვგოროდი — ლადა 1:0, კამაზი — ლოკომოტივი 0:0, ზენიტი — ჟემჩუჟინა 2:0, სპარტაკი — როტორი 2:0, ურალმაში — ტექსტილშჩიკი — 0:0

ლიდერი კვლავ შეიცვალა. მოსკოვის ცსკა, რომელიც პირველ ტურში წაგების შემდეგ მატჩს მატჩზე იგებდა, სამარაში დამარცხდა ადგილობრივ „კრილია სოვეტოვთან“. სამარელების თამაში რუსეთის ჩემპიონატის სტარტზე ჯერჯერობით ერთერთი მოულოდნელობაა. გუნდი, რომელიც შარშან მხოლოდ მეთხუთმეტე ადგილზე იყო, წელს გააზრებულად თამაშობს. ცსკა-სთან შეხვედრისას სამარაში სტადიონი გადაჭედილი იყო. მატჩი დასაწყისიდანვე ორმხრივ, მძაფრ იერიშებში წარიმართა. უკვე მე-5 წუთზე სამარელმა ბულატოვმა ძელს მოარტყა ბურთი. ერთი წუთის შემდეგ არმიელმა გერასიმოვმა ხელსაყრელი პოზიცია ვერ გამოიყენა. ასე გაგრძელდა, სანამ იგივე ბულატოვმა გოლი არ გაიტანა. ამის შემდეგ ლიდერი უტევდა, მაგრამ ვერაფერი გააწყო.

„ალანიამ“ მოსკოვში წარუმატებელი ტურნეს შემდეგ როსტოვში გაიმარჯვა. ეს ძალზე საინტერესო მატჩი იყო. ანგარიში თაურით კასიმოვმა გახსნა. შემდეგ როსტოველებმა შეუტიეს, მაგრამ კარგად ითამაშა ვლადიკავკაზელთა მეკარე კრამარენკომ, რომელიც ხაპოვის მაგივრად იდგა (ხაპოვმა, მოგეხსენებათ, ძალზე ცუდად ითამაშა მოსკოვში „სპარტაკის“ წინააღმდეგ), მაგრამ ერთ მომენტში იგიც ვერაფერს გახდა. თეთრაძე საჯარიმოს ხაზთან დაჯარიმდა და როსტოველმა დაახლოებით ოცი მეტრიდან შესანიშნავად შეასრულა საჯარიმო. გადამწყვეტი გოლი იანოვსკიმ გაიტანა კუთხურიდან კასიმოვის ჩაწოდების შემდეგ. როსტოველებს შტურმი არ გამოუვიდათ. ბოლოს კი მათი კარიც იხსნა დევაძემ.

მოსკოვში „ტორპედომ“ უმაღლესი ლიგის დებიუტანტს, კალინინგრადის „ბალტიკას“ ვერ მოუგო. ანგარიში ბალტიკელთა აფხაზმა ფეხბურთელმა ბესლან აჯინჯალმა გახსნა (გუნდში მისი ტყუპი ძმა რუსლანიც თამაშობს). „ტორპედომ“ შეუტია და შესანიშნავი კომბინაციის შემდეგ, როდესაც ბოლო პასი ქუსლით პროკოპენკომ გააკეთა, სმერტინმა ანგარიში გაათანაბრა. მეორე ტაიმში თავიდან კალინინგრადელებმა შეუტიეს, მაგრამ წინ ტორპედოელები გავიდნენ ბორისოვის დარტყმის შემდეგ. ანგარიში კი ბესლან აჯინჯალმა გაათანაბრა: სოლო-რეიდის შემდეგ თავისი მეორე გოლი გაიტანა ამ მატჩში.

ნოვგოროდში გამართულ მატჩში მთელი თამაშის განმავლობაში უპირატესობა სტუმრებს, ტოლიატის „ლადას“ ფეხბურთელებს ჰქონდათ. მაინც მასპინძლებმა გაიმარჯვეს. ეს ერთადერთი გოლი ნახევარმცველმა დურნევმა შეაგდო.

„კამაზი“ საკუთარ მოედანზე შარშანდელ ვერცხლის პრიზიორს, „ლოკომოტივს“ ხვდებოდა. მეტად დაძაბული მატჩი, რომელშიც ორივე კართან უამრავი საგოლე მომენტი შეიქმნა, უშედეგოდ დამთავრდა. მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებს უკვე მეექვსე მატჩი, ანუ სათამაშო დროის 9 საათია (!!!) ერთი გოლიც ვერ გაუტანიათ.

სანქტ-პეტერბურგში „ზენიტმა“, რომელიც წელს მშვენივრად თამაშობს, აუტსაიდერი სოჭის „ჟემჩუჟინა“ დაამარცხა. პირველი გოლი სანქტ-პეტერბურგელთა კაპიტანმა კულიკმა შეაგდო, მეორე კი ნაუმოვის ჩაწოდებული საჯარიმოს შემდეგ პოპოვმა გაიტანა თავით. თამაში ბოლოს უხეშ ბრძოლაში გადაიზარდა, მაგრამ მსაჯმა გასაგდებად ვერავინ გაიმეტა, თუმცა კი გაფრთხილებები არ დაუშურებია.

მოსკოვში სპარტაკელები „როტორს“ ეთამაშნენ. ამ ტურამდე „როტორი“ მოსკოვის „დინამოსთან“ ერთად ჩემპიონატში წაუგებლად ასპარეზობდა. „სპარტაკმა“ მშვენივრად ითამაშა და, ფაქტიურად, პირველ ტაიმშივე გადაწყვიტა მატჩის ბედი თავის სასარგებლოდ, როცა ნიკიფოროვმა და ტიხონოვმა ორი ბურთი მოათავსეს „როტორის“ კარში.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალანია | 6 | 4 | 1 | 1 | 12-7 | 13 |
| კრილია | 6 | 4 | 1 | 1 | 7-3 | 13 |
| სპარტაკი | 5 | 4 | 0 | 1 | 9-2 | 12 |
| ცსკა | 6 | 4 | 0 | 2 | 8-6 | 12 |
| დინამო | 5 | 3 | 2 | 0 | 7-3 | 11 |
| ნოვგოროდი | 6 | 3 | 2 | 1 | 6-3 | 11 |
| ზენიტი | 6 | 3 | 1 | 2 | 5-4 | 10 |
| როტორი | 6 | 2 | 3 | 1 | 7-4 | 9 |
| როსტსელმაში | 6 | 2 | 2 | 2 | 9-8 | 8 |
| ტორპედო | 6 | 1 | 4 | 1 | 5-7 | 7 |
| ჩერნომორეცი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-5 | 6 |
| ბალტიკა | 6 | 1 | 3 | 2 | 5-8 | 6 |
| კამაზი | 6 | 1 | 2 | 3 | 6-9 | 5 |
| ტექსტილშჩიკი | 6 | 0 | 4 | 2 | 2-4 | 4 |
| ლოკომოტივი | 6 | 0 | 4 | 2 | 0-3 | 4 |
| ლადა | 6 | 0 | 3 | 3 | 3-9 | 3 |
| ურალმაში | 6 | 0 | 3 | 3 | 2-5 | 3 |
| ჟემჩუჟინა | 5 | 0 | 1 | 4 | 4-13 | 1 |

## ციდან ჩამოვარდნილი ლიცენზია

არანაირი ლიცენზია, მეტადრე ატლანტის ოლიმპიური თამაშებისა, რა თქმა უნდა, ციდან არ ვარდება. მის მოსაპოვებლად სპორტსმენები წლობით ღვრიან ოფლს. აი, თბილისელმა გოჩა გახარიამ კი ცოტა წაივარჯიშა და ოლიმპიური თამაშების ლიცენზია მოიპოვა. ეს მოხდა სანქტ-პეტერბურგში გამართულ წყალში მხტომელთა საერთაშორისო ტურნირზე „გაზაფხულის მერცხლები“.

მანამ გახარიაზე ვიტყოდით რამეს, ორიოდე სიტყვით ამ შეჯიბრებაზე მოგახსენებთ.

„გაზაფხულის მერცხლების“ ისტორია 1959 წლიდან იწყება. მას სხვადასხვა დროს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქი მასპინძლობდა, მათ შორის თბილისიც. შარშან ცურვის საერთაშორისო ფედერაციამ (ფინა) გადაწყვიტა „გრან-პრის“ შეჯიბრებათა სერია ჩაეტარებინა. სწორედ შარშანდელ ტურნირზე იყო, თბილისელმა მოსწავლე ნანა ყაზარაშვილმა ატლანტის ლიცენზია რომ გაინაღდა.

ნანა ყაზარაშვილი ერთადერთი ჩვენი წყალში მხტომელი იყო, ვინც ამ სახეობას შემორჩა, სხვებმა კი დამშრალი აუზების გამო კოშკ-ტრამპლინებს იძულებით ზურგი აქციეს. ნანამ თავის თავს კეთილი უცხოელების წყალობით უშველა, როცა ქვეყნიდან ქვეყანაში კარდაკარ დადიოდა და ვარჯიშობდა, რაც სხვებმა ვერ მოახერხეს. სწორედ ამიტომ იყო, სხვა ჩვენი წყალში მხტომელისაგან ატლანტის ლიცენზიას რომ აღარ ველოდით.

და აი, სასწაული, რომლის ავტორიც, როგორც ვთქვით, გოჩა გახარია გახდა.

იგი 22 წლისაა. ერთ დროს მასზე საკმაოდ დიდ იმედებს ვამყარებდით, მაგრამ ბოლო 2 წლის განმავლობაში ისიც იძულებით გაქრა და გადაგვავიწყდა კიდეც. „გაზაფხულის მერცხლების“ დაწყებამდე ორიოდე თვით ადრე იგი მოსკოვთან ახლოს, ელექტროსტალში ნანა ყაზარაშვილთან ერთად ჩავიდა და ვარჯიში დაიწყო, თუმცა, სანქტ-პეტერბურგის ასპარეზობაზე თუ ლიცენზიას მოიპოვებდა, ამას ალბათ ვერც დაიჯერებდა. იქ ხომ 20-მდე ქვეყნის სპორტსმენებს ჰქონდათ დიდი ბრძოლები, თანაც მასში მონაწილეობდნენ ამ სახეობაში აღიარებული ქვეყნების, მათ შორის ჩინეთის გუნდიც, ყველაზე დიდი, 18-კაციანი დელეგაციით რომ ჩავიდა ნევისპირა ქალაქში. იქ გამოდიოდნენ აგრეთვე აშშ-ს, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, კანადის, მექსიკის, ესპანეთის, თვად რუსეთის გუნდი და სხვები.

მათთან ბრძოლაში, კოშკიდან ხტომაში, გახარია ფინალში, ე. ი. 12 საუკეთესოს შორის მოხვდა და ლიცენზიაც მოიპოვა.

მისი მწვრთნელის, სოსო ელბაქიძის თქმით, გახარია გამოვიდა ისეთივე ნახტომების ურთულესი პროგრამით, როგორითაც უძლიერესი სპორტსმენები.

ამის მერე მწვრთნელს იმედი გაუჩნდა, რომ გახარია გერმანიის ქალაქ აახენში, ევროპის ჩემპიონატზე, ამ დღეებში რომ გასრულდა, უკეთ გამოვიდოდა და ექვსეულში მოხვდებოდა, მაგრამ გაწბილდა, რადგან გოჩა ფინალს მიღმა დარჩა. თუ რატომ, მწვრთნელმა ვეღარ აგვიხსნა.

ასეა თუ ისე, საქართველოს ჰყავს ორი წყალში მხტომელი, რომლებმაც ატლანტაში გამოსვლის უფლება მოიპოვეს, რაც ამ უწყლო ქვეყანაში სასწაულის ტოლფასია.

სამწუხაროდ ნანა ყაზარაშვილი ამ თვენახევრის წინათ დაშავდა. თავდაპირველად ტრავმას წაუყრუეს, მერე კი ტკივილებმა შეაწუხა ჩვენი სპორტსმენი და ორი კვირა საერთოდ აღარ ვარჯიშობდა. სოსო ელბაქიძის აზრით, სწორედ ამით აიხსნება, რომ ყაზარაშვილი ვერც სანქტ-პეტერბურგში და ვერც აახენში ფინალისტთა შორის ვერ მოხვდა. როგორც მწვრთნელმა გვითხრა, ყაზარაშვილის ტრავმა ექიმებმა გამოიკვლიეს და საგანგაშო ვერაფერი ნახეს.

ახლა პრობლემა ის არის, თუ ოლიმპიადამდე სად ივარჯიშებენ ყაზარაშვილი და გახარია. ამას წინათ ატლანტაში საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სეოკ-ის ხელმძღვანელთა ვიზიტისას იქაურებმა პირობა მოგვცეს, რომ ყაზარაშვილს ამერიკაში ვარჯიშის საშუალებას მისცემდნენ. მაშინ გახარია, როგორც იტყვიან, ჰორიზონტზეც არ ჩანდა. ახლა კი გამოჩნდა და ჩვენი სპორტის მესვეურებს პრობლემა გაუჩინა.

ავთანდილ ჟუჟუნაძე

## არგენტინული თავგადასავლები

საკვალიფიკაციო სესიამ მშრალ ამინდში ჩაიარა, მაგრამ რამდენიმე პილოტმა (ალეზი, პანი, ფრენცენი, ბრანდლი) მაინც მოახერხა მოცურებულიყო და უსაფრთხოების ზონაში მოხვედრილიყო. შუმახერმა სესიის პირველივე ნახევარში მოახერხა საუკეთესო შედეგის ჩვენება და მოვლენების განვითარებას ბოქსებიდან ადევნებდა თვალყურს. სესიის დამთავრებამდე ხუთიოდე წუთით ადრე ჰილმა რამოდენიმე სწრაფი წრე გაიარა და „პოულიც“ მოიპოვა, თანაც ეს ისე მოახერხა, რომ მეტოქეებს უკეთესი შედეგისათვის დრო აღარ დაუტოვა. საბოლოოდ კვალიფიკაცია ასე დამთავრდა: ჰილი (1. 30, 346); შუმახერი (1. 30, 598); ვილნევი (1. 30, 907); ალეზი (1. 31, 038); ბერგერი (1. 31, 262); ბარიკელო (1. 31, 404); ვერსტაპენი (1. 31, 615); ჰაკინენი (1. 31, 801); კულჰარდი (1. 32, 001); ირვინი (1. 32, 058); ფრენცენი (1. 32, 130); პანი (1. 32, 177); კატაიამა (1. 32, 407); ჰერბერტი (1. 32, 502); ბრანდლი (1. 32, 696); სალო (1. 32, 903); დინისი (1. 33, 256); მარკეში (1. 33, 424); ლამი (1. 33, 727); როსეტი (1. 33, 752); ბადოერი (1. 34, 830); მონცერმანი (1. 35, 651).

კვირას ყველაზე უკეთ სტარტი ჰილმა აიღო, რომელსაც კვალში შუმახერი და ალეზი ჩაუდგნენ. ვილნევი შეფერხდა და მეთორმეტე ადგილზე აღმოჩნდა, მაგრამ ნელ-ნელა პოზიცია გაიუმჯობესა, მეექვსე წრისათვის მეხუთე ადგილზე მყოფ კულჰარდს წამოეწია და ერთ-ერთ მარჯვენა მოსახვევში დამუხრუჭებისას გადაასწრო კიდეც. ლიდერები თანდათანობით აუმჯობესებდნენ წრის გავლის დროს და ცდილობდნენ დროის მარაგის შექმნას ბოქსებში შესავლელად (რაც თითოეულს ორ-ორჯერ ჰქონდა დაგეგმილი). 20 წრისათვის საწვავის ახალი ულუფის მისაღებად პირველი შუმახერი შეჩერდა, მექანიკოსებმა ჩვეულად სწრაფად (7,1 წმ) დააბრუნეს მსოფლიოს ჩემპიონი ტრასაზე. ის-ის იყო, რომ ყველა ლიდერმა დაამთავრა საწვავის შევსება და საბურავების გამოცვლა, რომ 19-20 ადგილისთვის პაექრობისას ბადოერისა და როსეტის ბოლიდები შეეჯახნენ და ბადოერის „ფორტი“ თავდაყირა დავარდა უსაფრთხოების ზონაში. საბედნიეროდ, პილოტი სხვების დაუხმარებლად გამოძვრა ბოლიდიდან და ტრასის მარშლების თანხლებით ბოქსებისაკენ გაუყვა. ამასობაში ტრასაზე „უსაფრთხოების მანქანა“ გამოჩნდა და რბოლა ნელ ტემპში, გასწრების გარეშე გაგრძელდა. ამ შემთხვევამ თითქოს ნიშანი მისცაო და მოვლენები კალეიდოსკოპური სისწრაფით ცვლიდნენ ერთმანეთს, პილოტები რიგ-რიგობით ეთიშებოდნენ რბოლას. „პეის კარი“ ჯერ ტრასიდან არ იყო გასული, რომ ბოქსებიდან ახალდაბრუნებული დინისის ბოლიდმა ბოლი აუშვა და აბრიალდა. ეს შემთხვევაც ბედნიერად დასრულდა, პილოტმა მოახერხა მანქანის შეჩერება და მისი მიტოვება (ამ ინციდენტებმა დაამტკიცეს FIA-ს მიერ ტექნიკურ წესებში შეტანილი ცვლილებების სისწორე).

„პეის კარმა“ ბოლიდების ქარავანი შეამჭიდროვა, ჩამორჩენილები ლიდერებს წამოეწიენ და რესტარტის შემდეგ ასპარეზობა უფრო დაძაბული გახდა. შუმახერი ნელ-ნელა ჩამორჩა ლიდერს და მეორეჯერ ეწვია ბოქსებს. მეორე ადგილზე ალეზიმ გადაინაცვლა, რამოდენიმე წრის რეკორდი დაამყარა და ჰილს მიუახლოვდა, მაგრამ ბოქსებში [illegible] ჩაუქრა, ტრასას [illegible] შუმახერის უკან დაუბრუნდა და მალე გადაასწრო კიდეც მას. ბარიკელომ და ჰერბერტმა წარმატებით გადაიღეს ეს მანევრი, ხოლო მსოფლიო ჩემპიონმა ბოქსებისაკენ შეუხვია და შემდეგ რბოლას იქიდან აკვირდებოდა. მწვავე ბრძოლა ექვსეულის მიღმაც მიმდინარეობდა. ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა, 19 წლის ბრაზილიელი პილოტი მარკეში ბრანდლს (მე-12 ადგილი) შეეჯახა, მისმა ბოლიდმა ჰაერში შეიკუნტრუშა და გაზონზე დაამთავრა მოძრაობა, ხოლო ბრანდლი უკანა სპოილერის გარეშე დარჩა და იძულებული იყო ასპარეზობა შეეწყვიტა.

ლიდერთა ექვსეულმა კი ბოქსებში მეორედ შეიარა და ტრასაზე ამ თანამიმდევრობით განლაგდა: ჰილი, ბერგერი, ვილნევი, ალეზი, ბარიკელო, კულჰარდი. ამ უკანასკნელს მოსვენებას არ აძლევდნენ ირვინი და ვერსტაპენი, მალე გადაასწრეს კიდეც და ქულაც დააკარგვინეს. 56-ე წრეზე რბოლას ბერგერი გამოეთიშა და მეორე ადგილზე ვილნევი აღმოჩნდა. ალეზი ბევრს ეცადა წამოსწეოდა კანადელს, წრის გავლის რეკორდიც (1. 29. 415) დაამყარა, მაგრამ მეტი ვერ შეძლო და მესამე ადგილს დასჯერდა. ჰილმა ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა, ხოლო ბარიკელომ (ჯორდანი) და ვერსტაპენმა (ეროუზ) თავიანთ გუნდებს პირველი ქულები შესძინეს. პირველმა სამმა ეტაპმა დაგვანახა, რომ უილიამსი ყველაზე უკეთ მოემზადა სეზონისათვის, ხოლო ფერარი ტექნიკური მიზეზების გამო ვერ უძლებს დაძაბულ ტემპს და მსოფლიო ჩემპიონმა ორი რბოლა დროზე ადრე დაამთავრა. შემდეგი ეტაპი (ევროპის დიდი პრიზი) შუმახერის სამშობლოში — ნიურბურგრინგზე ტარდება და ჩემპიონისაგან სიურპრიზს უნდა ველოდოთ.

ალეკო ჟაბუკიანი

### არგენტინის დიდი პრიზი

7 აპრილი, ბუენოს-აირესი.
72 წრე — 306. 680 კმ.

1. ჰილი 1:54. 55, 322 (160. 013 კმ-სთ)
2. ვილნევი — ჩამორჩა 12, 164 წმ
3. ალეზი — ჩამორჩა 14, 75 წმ
4. ბარიკელო — ჩამორჩა 55, 13 წმ
5. ირვინი — ჩამორჩა 1. 06, 49
6. ვერსტაპენი — ჩამორჩა 1. 08, 91
7. კულჰარდი — 1. 13, 4
8. პანი — 1. 14, 29
9. ჰერბერტი — 1 წრე
10. მონცერმანი — 3 წრე

პირადი პირველობა 3 ეტაპის შემდეგ: ჰილი — 30; ვილნევი — 12; ალეზი — 10; ირვინი — 6; ჰაკინენი — 5; შუმახერი — 4; ბარიკელო — 3; ბერგერი — 3; სალო — 3; პანი — 1; ვერსტაპენი — 1.

კონსტრუქტორთა პირველობა:
უილიამს-რენო — 42; ბენეტონ-რენო — 13; ფერარი — 10; მაკლარენ-მერსედესი — 5; ტირელ-იამაჰა — 3; ჯორდან-პეჟო — 3; ეროუზ-ჰარტი — 1; ლიჟიე-მუგენ ჰონდა — 1.


საფეხბურთო ტოტალიზატორი

**ლაკლას-ტოტო**

მატჩების სია — ტირაჟი № 26 (13-15 აპრილი)

| | | |
|---|---|---|
| 1 | ნაპოლი — მილანი | იტალიის ჩემპიონატი |
| 2 | იუვენტუსი — სამპდორია | იტალიის ჩემპიონატი |
| 3 | ლაციო — პარმა | იტალიის ჩემპიონატი |
| 4 | ვიჩენცა — რომა | იტალიის ჩემპიონატი |
| 5 | ატლეტიკო — ბეტისი | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 6 | რასინგი — ბარსელონა | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 7 | სევილია — რეალი | ესპანეთის ჩემპიონატი |

ბილეთების რეგისტრაცია შეწყდება შაბათს, 13 აპრილს, 16. 00

№ 24 ტირაჟის შედეგები:
1. 0-2 2. 1-0 3. 1-2 4. 0-0 5. 1-2 6. 0-1 7. 3-0

მოგებები: ხუთი, ექვსი, შვიდი მატჩის ანგარიში ვერავინ გამოიცნო. სრული JACK POT შესაბამისად, 210, 505 და 885 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში.

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან (ში): დელისი, პოლიტექნიკური, მარჯანიშვილი, აზმეტელი, სამგორი. ბილეთების (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.

მოგება გაიცემა მისამართზე: ხეთაგუროვის 2, მესამე სართ. ფირმა „ესკიზი“ (11.00-დან 14.00 სთ-მდე). თან იქონიეთ პასპორტი.

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

| | | | |
|---|---|---|---|
| **ინგლისის ჩემპიონატი. 35-ე ტური** | | | |
| **8-9 აპრილი** | | | |
| ასტონ ვილა — საუთჰემპტონი | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 1,8 |
| ბლექბერნი — ნიუკასლი | 3,0 | 2,7 | 1,7 |
| ბოლტონი — ჩელსი | 2,2 | 2,4 | 2,4 |
| ლიდსი — ნოტინგემი | 1,6 | 2,7 | 3,4 |
| ლივერპული — ვესტ ჰემი | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,5 |
| მანჩესტერ იუნაიტედი — ქოვენთრი | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 2,8 |
| ქუინზ პარკი — ევერტონი | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| შეფილდი — არსენალი | 2,8 | 2,6 | 1,8 |
| ტოტენჰემი — მიდლსბრო | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| უიმბლდონი — მანჩესტერ სიტი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| **გერმანიის ჩემპიონატი. 27-ე ტური** | | | |
| **9 აპრილი** | | | |
| აინტრახტი — შტუტგარტი | 1,7 | 2,7 | 3,0 |
| კიოლნი — დორტმუნდი | 3,2 | 2,8 | 1,6 |
| კარლსრუე — მიუნხენ 1860 | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| შალკე — ლევერკუზენი | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| ჰანზა — ურდინგენი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| 0:1 | )1,6 | 3,4 | 2,5 |
| **10 აპრილი** | | | |
| ვერდერი — მიონხენგლადბახი | 1,8 | 2,5 | 3,0 |
| ბაიერნი — ზანქტ პაული | 1,15 | 3,0 | 8,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 2,8 |
| ჰამბურგი — ფრაიბურგი | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| ფორტუნა — კაიზერსლაუტერნი | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| **საფრანგეთის ჩემპიონატი. 34-ე ტური** | | | |
| **9 აპრილი** | | | |
| მონპელიე — ნანტი | 1,9 | 2,5 | 2,7 |
| ოსერი — ბორდო | 1,25 | 2,9 | 6,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 1,9 |
| მარტიგი — ლილი | 2,7 | 2,7 | 1,8 |
| მეცი — ბასტია | 1,2 | 2,9 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,0 |
| ნიცა — პარი სენ-ჟერმენი | 4,0 | 3,0 | 1,4 |
| რენი — სენტ ეტიენი | 1,3 | 2,9 | 5,3 |
| ლიონი — გინგამი | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| ლე ავრი — გენიონი | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ლანსი — მონაკო | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| სტრასბური — კანი | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| **იტალიის ჩემპიონატი. 26-ე (გადადებული) ტური** | | | |
| **10 აპრილი** | | | |
| ატალანტა — ბარი | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| კალიარი — მილანი | 3,4 | 2,7 | 1,6 |
| ინტერი — სამპდორია | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| იუვენტუსი — უდინეზე | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 2,8 |
| ლაციო — ფიორენტინა | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| ნაპოლი — ტორინო | 1,7 | 2,6 | 3,2 |
| პადოვა — რომა | 2,4 | 2,4 | 2,2 |
| პარმა — კრემონეზე | 1,25 | 3,0 | 5,6 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 1,9 |
| პიაჩენცა — ვიჩენცა | 1,6 | 2,7 | 3,4 |
| **ესპანეთის თასის ფინალი** | | | |
| **10 აპრილი** | | | |
| ატლეტიკო — ბარსელონა | 2,5 | 2,5 | 2,0 |

ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

იტალია. 23 და ნაკლები — 1,9; 25 და მეტი — 1,9

გერმანია. 24 და ნაკლები — 1,9; 26 და მეტი — 1,9

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 50 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და ლაციო — პარმა 3-0) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის ალება — თასის ალებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (50 თეთრი).

**ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს, შაბათს და კვირას 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის“ ფოიეში.**

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | 0-0 | 0-1 | 2-0 | | 1-3 | 1-0 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 0-1 | | 0-1 | 3-5 | 0-0 | 3-3 | 3-2 | | 1-3 | 4-2 | 4-0 | 2-0 |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | 3-0 | | 0-0 | 0-0 | 0-2 | | 3-1 | | 1-0 | 1-1 | 0-0 | 1-1 | 3-1 | 0-1 | 2-1 | 2-0 | 2-0 | 2-2 | 3-0 |
| 3 | FC BARCELONA | 3-0 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | | 2-0 | 3-0 | 4-1 | 1-1 | 3-1 | 1-0 | 1-0 | 4-1 | [illegible] | 2-2 | 1-0 | 1-0 | [illegible] | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | 0-0 | 0-0 | ■ | 0-0 | 2-1 | 1-0 | 0-2 | | 0-5 | 0-1 | 4-0 | 1-0 | 0-0 | 0-1 | | 1-1 | | 0- | 2-1 | 3-0 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 3-1 | 2-1 | 2-1 | 2-1 | ■ | 1-0 | 4-0 | | 1-0 | 3-3 | 4-1 | 2-0 | 3-2 | [illegible] | 1-2 | 0-0 | | | 0-4 | 0-3 | 1-1 | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | 2-3 | | 1-2 | | ■ | 1-1 | 1-2 | 3-1 | 0-0 | | 4-2 | 4-1 | 1-1 | 2-3 | 3-2 | 3-1 | | 1-3 | 4-2 | 1-0 | 3-1 |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | 0-1 | | 0-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 2-2 | | 3-0 | | 2-3 | 2-3 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 3-1 | 2-1 | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | 3-1 | 4-1 | 3-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 0-0 | 1-2 | 3-0 | 2-0 | 1-1 | 4-1 | | | 0-1 | 3-1 | | 0-2 | 3-2 | 1-1 |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | 1-0 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 0-6 | 0-3 | ■ | 1-5 | 1-2 | 1-2 | | 2-0 | 1-2 | 1-4 | | 2-4 | 3-2 | | | 4-1 |
| 10 | REAL MADRID CF | 2-0 | | 1-1 | 1-2 | 2-1 | | | 1-0 | 1-2 | ■ | 2-3 | 1-2 | 2-2 | 3-2 | 4-2 | 5-0 | 4-1 | 2-0 | 0-0 | 4-1 | 1-0 | |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | 1-2 | 1-2 | 0-0 | 3-1 | 1-0 | 0-2 | 1-1 | 2-0 | 1-2 | ■ | 2-1 | 1-1 | | 0-1 | 2-2 | | 1-3 | 0-1 | | | 0-0 |
| 12 | RACING SANTANDER | 5-5 | 1-1 | | 1-1 | | 1-1 | 2-1 | 0-4 | 1-2 | 2-0 | 0-0 | ■ | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 1-1 | | 0-3 | 0-0 | 2-1 | 2-0 |
| 13 | REAL ZARAGOZA | 3-1 | 1-1 | 0-3 | | 1-0 | 1-1 | | 0-1 | 1-1 | | 1-0 | 1-2 | ■ | 1-2 | 1-2 | 1-1 | 0-1 | 0-2 | 4-1 | 5-3 | 0-0 | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-0 | 2-1 | 1-1 | 1-1 | 2-1 | 3-1 | ■ | 1-1 | | 1-0 | 0-1 | | 1-0 | 3-1 | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | 2-3 | | 1-5 | 0-0 | 5-0 | | | 2-1 | 0-0 | 0-0 | 2-1 | | 3-1 | 3-1 | ■ | 4-0 | 1-1 | 3-3 | 3-0 | 3-0 | 0-3 | 0-1 |
| 16 | SALAMANCA | | 2-2 | 1-3 | 2-1 | 1-0 | | 0-5 | 1-3 | 1-2 | 0-2 | 0-1 | | 0-1 | 3-3 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-2 | 4-0 | 0-0 | 0-1 | 2-2 |
| 17 | SEVILLA FC | 1-1 | 0-3 | 1-0 | 1-[illegible] | 0-1 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 1-0 | | 1-1 | 0-1 | 1-1 | 2-1 | | | ■ | 0-1 | | 1-1 | 0-0 | 3-0 |
| 18 | CD TENERIFE | 1-3 | 1-4 | 1-1 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 1-1 | | 2-2 | 3-0 | 3-3 | 2-0 | 1-2 | | 1-2 | | 4-2 | ■ | 2-1 | 1-0 | 1-0 | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | | | 4-1 | 3-1 | 5-2 | | 2-1 | 0-1 | 3-0 | 4-3 | 3-1 | | 0-0 | 0-1 | 1-1 | 2-0 | 1-0 | | ■ | 1-0 | 3-0 | 4-1 |
| 20 | REAL VALLADOLID | 3-0 | 0-0 | 0-2 | 2-2 | 0-0 | 1-0 | | 0-1 | 1-1 | | 2-2 | 3-1 | | 3-0 | | 1-0 | 3-3 | 3-0 | 2-5 | ■ | 1-1 | 1-1 |
| 21 | RC CELTA VIGO | 2-2 | 4-2 | 1-0 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 0-0 | 0-3 | 2-0 | | 1-0 | 0-0 | | 1-1 | | 2-1 | 4-0 | 2-2 | | 1-1 | ■ | 2-0 |
| 22 | MERIDA | 1-1 | 0-1 | 0-0 | | 0-2 | 1-0 | 0-2 | 0-1 | | 2-2 | | 3-1 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | 3-2 | 2-0 | 0-2 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | BAYER 04 LEVERKUSEN | ■ | 2-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 0-1 | | 0-1 | 2-0 | | | 1-2 | | 1-1 | 0-0 | 0-0 | 2-2 |
| 2 | BAYER UERDINGEN | | ■ | 1-6 | 0-2 | | 1-1 | | 1-3 | 1-1 | 1-1 | 1-1 | 2-3 | 1-1 | 2-0 | 2-5 | 1-1 | 3-4 | 3-0 |
| 3 | FC BAYERN MÜNCHEN | 1-0 | 2-0 | ■ | 1-0 | 1-2 | | 2-0 | | 3-2 | | 2-0 | 1-4 | | 4-2 | | 4-0 | 5-3 | 2-0 |
| 4 | BORUSSIA DORTMUND | | | 3-1 | ■ | 2-1 | 6-0 | | 3-0 | | 1-2 | 1-1 | 4-1 | 3-0 | 3-1 | 1-0 | | 6-3 | 1-1 |
| 5 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 0-0 | 2-1 | | 2-2 | ■ | 4-1 | 1-0 | | 1-2 | 3-2 | | | | | 2-4 | 4-1 | 1-1 | 1-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | 1-1 | 1-0 | 4-1 | 3-4 | 0-2 | ■ | 0-1 | 3-0 | | | 3-1 | 2-2 | 1-0 | 4-2 | 2-2 | | | |
| 7 | SC FREIBURG | | 1-1 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 2-0 | ■ | 1-1 | 0-3 | 2-1 | | | 2-0 | | 0-2 | 1-2 | 2-1 | 0-1 |
| 8 | FORTUNA DUSSELDORF | 1-1 | 1-0 | 0-2 | | 3-2 | | 0-0 | ■ | 2-2 | 2-2 | | 2-0 | 1-1 | 1-1 | | 2-0 | 1-2 | 1-1 |
| 9 | HAMBURGER SV | | 0-0 | 2-1 | 2-2 | | 5-1 | | 4-1 | ■ | 1-1 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 2-2 | 1-0 | 1-1 | | 3-3 |
| 10 | HANSA ROSTOCK | 1-2 | | 0-0 | 3-2 | 2-3 | 1-1 | | 0-0 | | ■ | 3-0 | 1-1 | | | 2-0 | | 3-3 | |
| 11 | 1. FC KAISERSLAUTERN | 1-0 | | 2-3 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 1-2 | 2-0 | | | ■ | 2-2 | 1-1 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 1-1 | 0-0 |
| 12 | KARLSRUHER SC | 1-4 | 2-0 | 2-6 | | 4-0 | 1-1 | 1-1 | 3-1 | 3-1 | 0-2 | | ■ | 1-0 | | | 0-1 | 1-2 | 1-1 |
| 13 | 1. FC KÖLN | 2-2 | 0-0 | 0-0 | | 0-2 | | 1-1 | 0-0 | 3-2 | 3-0 | 0-1 | 0-1 | ■ | 2-0 | | 0-1 | 2-2 | |
| 14 | TSV 1860 MÜNCHEN | 0-1 | | 0-2 | | 4-0 | 3-1 | 3-0 | 2-1 | 5-0 | 1-1 | | 1-1 | 2-1 | ■ | 2-0 | 1-1 | 1-1 | 1-1 |
| 15 | ST. PAULI HAMBURG | 2-1 | | 0-1 | 0-3 | 0-2 | 2-1 | 1-1 | 2-1 | | 3-2 | 1-2 | 1-1 | 3-3 | 4-2 | ■ | | 1-3 | |
| 16 | FC SCHALKE 04 | | 1-1 | | 1-2 | | 2-0 | 3-0 | 1-1 | 3-0 | 1-3 | 1-1 | 2-1 | 0-0 | 1-1 | 2-0 | ■ | – | 2-1 |
| 17 | VfB STUTTGART | 1-4 | 0-0 | | 0-5 | 5-0 | 3-2 | 3-1 | | 3-0 | 1-1 | 2-0 | | | 2-3 | 1-1 | 2-2 | ■ | 1-1 |
| 18 | WERDER BREMEN | 2-1 | 1-0 | | 2-2 | | 1-1 | 0-2 | 1-1 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-0 | 1-1 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA | ■ | | | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | | 0-1 | 1-3 | | 1-1 | 2-0 | 2-1 | 3-2 | 1-0 | 0-0 | 3-1 |
| 2 | BARI | 1-3 | ■ | 3-0 | | 1-1 | 4-1 | | 3-3 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-1 | 0-0 | 1-2 | 1-3 | 2-2 | | 0-2 |
| 3 | CAGLIARI | 2-0 | 4-2 | ■ | 1-0 | 0-0 | | 0-0 | 0-1 | | 2-0 | 0-1 | | 0-0 | 0-2 | 3-0 | 1-0 | 4-1 | |
| 4 | CREMONESE | 1-1 | 7-1 | 3-1 | ■ | 0-0 | 2-4 | 3-3 | 2-1 | 0-0 | 1-1 | 2-1 | 0-2 | | 0-1 | 0-0 | 1-1 | 2-2 | |
| 5 | FIORENTINA | | 3-2 | 3-1 | 3-2 | ■ | 1-1 | 0-1 | 2-0 | 2-2 | 3-0 | 6-4 | 1-0 | 2-1 | | 2-2 | 2-0 | 3-0 | 1-1 |
| 6 | INTER | 1-0 | | 4-0 | 2-0 | 1-2 | ■ | | 0-0 | 1-1 | 4-0 | | 1-1 | 0-0 | 2-0 | | 4-0 | 2-1 | 1-0 |
| 7 | JUVENTUS | | 1-1 | 4-1 | 4-1 | 1-0 | 1-0 | ■ | 4-2 | 1-1 | 1-1 | 3-1 | 1-0 | 2-0 | 0-2 | | 5-0 | | 1-0 |
| 8 | LAZIO | 5-1 | 4-3 | 4-0 | 2-1 | | 0-1 | 4-0 | ■ | 0-1 | | 2-0 | | 4-1 | 1-0 | 6-3 | 1-1 | 2-2 | 3-0 |
| 9 | MILAN | 3-0 | 3-2 | 3-2 | | | 0-1 | 2-1 | 0-0 | ■ | 0-0 | 1-0 | 3-0 | 3-0 | 3-1 | 3-0 | 1-1 | 2-1 | 4-0 |
| 10 | NAPOLI | 2-0 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 0-2 | 2-1 | 0-1 | 1-0 | | ■ | 2-0 | 1-1 | 0-0 | 0-2 | | | | 1-1 |
| 11 | PADOVA | 3-2 | 3-0 | | 1-2 | 0-1 | 2-1 | 0-5 | 1-3 | 1-2 | 4-2 | ■ | 1-3 | 1-1 | | 1-1 | 1-1 | | 3-2 |
| 12 | PARMA | 2-0 | | 4-0 | | 3-0 | 2-1 | 1-1 | 2-1 | 0-0 | 1-0 | 2-1 | ■ | 3-2 | 1-1 | 1-0 | | 1-0 | 0-1 |
| 13 | PIACENZA | 2-2 | 3-2 | 1-1 | 2-1 | | 1-0 | 0-4 | 2-1 | 0-2 | 0-1 | | 2-1 | ■ | 1-0 | 3-2 | | 0-2 | |
| 14 | ROMA | 0-1 | 2-1 | 1-1 | 3-0 | 2-2 | | | 0-0 | 1-2 | | 2-0 | 1-1 | 2-1 | ■ | 3-1 | 1-0 | 2-1 | 1-1 |
| 15 | SAMPDORIA | 2-3 | 2-0 | 1-2 | 2-0 | 2-1 | 0-0 | 2-0 | | | 2-2 | 3-1 | 3-0 | 3-0 | 1-1 | ■ | 1-0 | 1-0 | 2-2 |
| 16 | TORINO | 0-1 | 3-1 | 1-1 | | 0-3 | 0-1 | 1-2 | | | 0-0 | 2-0 | 2-2 | 4-2 | 2-2 | 1-1 | ■ | 2-0 | 1-0 |
| 17 | UDINESE | 3-0 | 1-2 | 1-0 | 3-2 | | 1-2 | 1-0 | 1-1 | 0-2 | 3-2 | 3-1 | 0-0 | | 1-1 | 2-4 | 1-0 | ■ | 1-1 |
| 18 | VICENZA | 1-0 | 2-0 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-0 | 1-1 | 3-0 | 2-1 | | 1-1 | | | 2-1 | 0-1 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | 2-0 | 0-0 | | 1-1 | 1-1 | 1-2 | 2-1 | | 3-1 | 1-0 | 1-1 | 2-0 | 1-1 | 3-0 | 4-2 | 4-2 | | 1-0 | 1-3 |
| 2 | ASTON VILLA | 1-1 | ■ | 2-0 | 1-0 | 0-1 | 4-1 | 1-0 | 3-0 | 0-2 | | 3-1 | 0-0 | 1-1 | 1-1 | 4-2 | 3-2 | | 2-1 | | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | ■ | 3-1 | 3-0 | 5-1 | 0-3 | 1-0 | 2-3 | 2-0 | 1-2 | 1-0 | | 7-0 | 1-0 | 3-0 | 2-1 | 2-1 | 4-2 | |
| 4 | BOLTON WONDERERS | 1-0 | 0-2 | 2-1 | ■ | | 1-2 | 1-1 | 0-2 | 0-1 | 1-1 | 0-6 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | 2-1 | | 2-3 | 0-3 | 1-0 |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | 1-2 | | 3-2 | ■ | 2-2 | 0-0 | | 2-2 | 1-1 | 1-4 | 5-0 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 0-0 | 3-0 | 0-0 | 1-2 | 1-2 |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | 5-0 | 0-2 | 1-0 | ■ | 2-1 | | 1-0 | 2-1 | 0-4 | 0-0 | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 1-1 | 2-3 | 2-2 | 3-3 |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | 1-0 | 3-0 | 1-1 | 2-2 | ■ | 2-0 | | 2-0 | 2-3 | 4-0 | 1-3 | 3-0 | 2-0 | 2-2 | 2-0 | 1-1 | 3-0 | 2-4 |
| 8 | LEEDS UNITED | 0-3 | 2-0 | 0-0 | 0-1 | 1-0 | 3-1 | 2-2 | ■ | 1-0 | 0-1 | 3-1 | 0-1 | | | 1-3 | 2-0 | | | 2-0 | 1-1 |
| 9 | FC LIVERPOOL | 3-1 | 3-0 | 3-0 | 5-2 | 2-0 | 0-0 | 1-2 | 5-0 | ■ | 6-0 | 2-0 | | | 4-2 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 0-0 | | 2-2 |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | 1-0 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 0-2 | 0-0 | | ■ | 2-3 | 0-1 | 3-3 | 1-1 | 2-0 | | 2-1 | 1-1 | 2-1 | 1-0 |
| 11 | MANCHESTER UNITED | 1-0 | 1-1 | 1-0 | 3-0 | 1-1 | | | | 2-2 | 1-0 | ■ | 2-0 | 2-0 | | 2-1 | 2-2 | 4-1 | 1-0 | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | 2-3 | 0-2 | 2-0 | 1-4 | 2-0 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 2-1 | 4-1 | | ■ | 1-2 | 1-1 | 1-0 | 3-1 | 0-0 | 0-1 | 4-2 | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | 2-0 | | 1-0 | 2-1 | 2-0 | 3-0 | 1-0 | 2-1 | 2-1 | 3-1 | 0-1 | 1-0 | ■ | 3-1 | 2-1 | 2-0 | | | 3-0 | 6-1 |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | 0-1 | 1-1 | | 3-2 | 0-0 | | 3-2 | 2-1 | 1-0 | 3-0 | 1-1 | 1-0 | | ■ | | 1-0 | 1-0 | 2-1 | 1-1 | 4-1 |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | | 1-2 | 1-2 | 1-0 | 1-1 | 1-1 | 2-3 | 1-1 | ■ | 0-3 | 3-0 | 2-3 | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | | 2-0 | 2-1 | 4-2 | | 4-3 | | 6-2 | 1-1 | 1-1 | 0-0 | 0-1 | 0-2 | 1-3 | 1-3 | ■ | 2-2 | 1-3 | 0-1 | 2-1 |
| 17 | FC SOUTHAMPTON | 0-0 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 2-3 | 1-0 | 2-2 | 1-1 | 1-3 | 1-1 | | 2-1 | 1-0 | 3-4 | 2-0 | 0-1 | ■ | 0-0 | 0-0 | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | 2-1 | 0-1 | 2-3 | 2-2 | | 3-1 | 0-0 | 2-1 | 1-3 | 1-0 | 4-1 | | 1-1 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-0 | ■ | 0-1 | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | 0-1 | 1-4 | 1-1 | | 1-3 | 3-2 | 2-1 | 1-2 | 0-0 | 4-2 | 0-1 | 2-0 | | 1-0 | 1-0 | | 2-1 | 1-1 | ■ | 1-1 |
| 20 | FC WIMBLEDON | 0-3 | 3-3 | 1-1 | 3-2 | 1-1 | | 2-3 | 2-4 | 1-0 | | 2-4 | 0-0 | 3-3 | 1-0 | 2-1 | 2-2 | 1-2 | 0-1 | 0-1 | ■ |

# ბუდაპეშტში, ხალიჩის გარეთ

ბუდაპეშტიდან გადმოცემულ რეპორტაჟებში თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ევროპის ჩემპიონატების შესახებ, იმდენი გესაუბრეთ უშუალოდ ჭიდაობაზე, რომ ვფიქრობ, ცოტათი გადაგღალეთ კიდეც. თბილისში დაბრუნებულს თანამშრომლები და მეგობრები მეხუმრებოდნენ, იმდენს იზამ, რომ „სარბიელის“ მკითხველები პირველივე შემხვედრს ან ჩოქბჯენში გადაიყვანენ, ანაც მოგვერდს გაუკეთებენო. ამიტომაც, ახლა გადავწყვიტე ნაწილობრივ შევეხო საჭიდაო თემას და უფრო ხალიჩის მიღმა მიმდინარე ამბები მოგითხროთ.

ერთ-ერთ რეპორტაჟში მოგახსენეთ კიდეც ბუდაპეშტის შეჯიბრებებზე ისეთი სიტუაციაა, თავი ესენგეს პირველობაზე გეგონებათ-მეთქი. არ დავიზარე და დავთვალე: თავისუფალ ჭიდაობაში 212 მონაწილიდან 80 წარმოადგენდა ყოფილ საბჭოეთს (როგორც თავისი, ისე სხვა ქვეყნის გუნდის შემადგენლობაში), 251 „ბერძენ-რომაელისაგან“ კი ყოფილი საბჭოელი 89 იყო. თუმცაღა, მოჭიდავეთა ტურნირები ალბათ ერთადერთი ადგილია, სადაც ჩეჩენი არ უღრენს რუსს, სომეხი – აზერბაიჯანელს, თურქი – ბერძენს და ა. შ. მოჭიდავეთა ინტერნაციონალურ სულისკვეთების შესახებ აქამდე ბევრი რამ გამეგო და მენახა, მაგრამ ბუდაპეშტში რაც ვიხილე, ყველაფერს გადააჭარბა – იქ მოჭიდავეთა საყოველთაო ძმობა სუფევდა. ფალავნები ერთმანეთს ეხუმრებოდნენ, რჩევებს აძლევდნენ, მასაჟს უკეთებდნენ და სხვა ეროვნების მეგობრის წაგებას საკუთარივით განიცდიდნენ. ხოლო ოფიციალური პირები – მწვრთნელები, ფედერაციების წარმომადგენლები და სხვანი, ფინჯან ყავაზე ან კათხა ლუდზე ძირითადად ტკბილ მოგონებებს ეძლეოდნენ და თანამოსაუბრეთ შრომა-გარჯას უქებდნენ.

ბუდაპეშტში თავიანთი ფალავნების საქომაგოდ მრავლად იყვნენ ჩამოსულნი ოსები, ჩეჩნები, ე. წ. „ახალი რუსები“ და ლეკები – ყოფილი მოჭიდავეები, ახლა კი ბიზნესმენები და კომერსანტები. სხვისი ფულის დათვლა, აბა, სადაური წესია და ამას არც მე ვაპირებ, მაგრამ ამ ხალხს ნაღდად რომ არ უჭირდა, ფაქტია. ჰოდა, იყო ერთი დაპატიჟებები რესტორნებში, ბარებში, კაზინოებში. ადგილობრივმა და ესენგედან ჩასულმა ბოზებმა იმდენი ფული იშოვეს, რომ ნუ იტყვით... შუა საუბრისას ბიზნესმენები ჯიბის სატელიტურ ტელეფონებს დააძრობდნენ და დარეკვის შემდეგ ხშირად მოსაუბრეს ამგვარად საყვედურობდნენ: რატომ მოვხვდი თქვენთან მილანში, მე ხომ ჟენევაში ვრეკავდიო.

ცოტას თავად ჩემპიონატების შესახებაც მოგახსენებთ. ევროპის პირველობების ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ტურნირებად ქცევა ძალიან დიდი შეცდომა იყო. მედლებისთვის ბრძოლამ უკანა პლანზე გადაიწია, მოჭიდავეები ცდილობდნენ რამენაირად პირველ რვა კაცში (ბერძნულ-რომაულში – ათ კაცში) მოხვედრილიყვნენ. ლიცენზიის მოპოვების სურვილმა თავისთავად მოიტანა ჩაწყობილი და ნაყიდი შერკინებები. თავისუფალ ჭიდაობაში ამას მასობრივი ხასიათი არ მიუღია, ხოლო ბერძნულ-რომაულში კი ლამის იყო, ქარვასლა გახსნეს. ხალხი ერთმანეთს ეხუმრებოდა, გადაიხადე და თუ გინდა, თავად ალექსანდრ კარელინთან მოგაგებინებენო.

ლიცენზიებისათვის ბრძოლამ ბევრი მოჭიდავის პრესტიჟი დასცა. მაგალითისათვის თუნდაც ლეგენდარული მახარბეკ ხადარცევი ავიღოთ. მან ორი შერკინება მოიგო, მაგრამ მერე ხერხემლის დისკო ამოუვარდა და, წესით, ველარ უნდა ეჭიდავა. ეს რომ ჩვეულებრივი, ანუ არასალიცენზიო ევროპის ჩემპიონატი ყოფილიყო, ხადარცევი ბრძოლას აღარ გააგრძელებდა და სამკურნალოდ წავიდოდა, მაგრამ ახლა სხვა გზა არ ჰქონდა – ხალიჩაზე რომ არ გასულიყო, ქულა არ დაეწერებოდა და თავის ქვეყანას ლიცენზიას ვერ მოუტანდა. ამიტომაც, მახარბეკი იძულებული გახდა ეჭიდავა, მისი ხელმძღვანელები მეტოქეებს მოელაპარაკნენ, ისე მოუგეთ, რომ ხადარცევმა ერთი ქულა მაინც აიღოსო. ჰოდა, უნდა გენახათ, როგორი სანახავი იყო ეს შესანიშნავი ფალავანი ვიღაც არიფებთან ჭიდაობისას. თანაც, აბსოლუტურად ყველამ იცოდა, შეხვედრა ჩაწყობილი რომ იყო, მაგრამ ამას დამტკიცება უნდოდა... ევროპის ჩემპიონატის ხალიცენზიო ტურნირად გადაქცევის ფაქტს ამაზე კარგ კომენტარს ძნელად თუ გაუკეთებ. იგი ეკუთვნის ცნობილ რუს მოჭიდავეს, ამჟამად ექსტრა-კლასის არბიტრს რეზანცევს: „ეს იდიოტური წესი იმ ხალხმა შემოიღო, რომელიც ისევე შორს არის ჭიდაობისაგან, როგორც ჩვენ ამ წუთას არარატისგანო“.

„შორს მდგომი ხალხის“ საძებრად შორს წასვლა ნამდვილად არ იყო საჭირო. ისინი იქვე იყვნენ, ფილას ჩინოვნიკები. ისინი საჭიდაო წარსულით ნამდვილად ვერ დაიკვეხნიდნენ, არც ჭიდაობის ორგანიზებაში მიუღიათ ოდესმე მნიშვნელოვანი მონაწილეობა. ისინი, უბრალოდ, ფაბრიკანტები, ბიზნესმენები, კომერსანტ-ვაჭრები არიან, აქვთ ბევრი ფული და მსოფლიო ჭიდაობის გამგებელ ორგანიზაციაში თანამდებობებთან ერთად განუსაზღვრელი, ფაქტიურად შეუზღუდავი ძალაუფლება აქვთ. ამის წყალობით ეს ჩინოვნიკები თავს უფლებას აძლევენ შენიშვნები მისცენ ჭიდაობის ისეთ ბუმბერაზებს, როგორებიც არიან, ვთქვათ, ალექსანდრ მედვედი, ივან იარიგინი, დავით გობეჯიშვილი, ტიბორ კომარომი და სხვები. თანაც ამ მაფიაში შეღწევა კი არა, მასთან ახლოს გაკარებაც კი თითქმის შეუძლებელია. ამის ნიმუშად მედვედისა და იარიგინის შემთხვევებიც იკმარებს. ამათ რომ ტიტულები აქვთ, იმისთანა უნდა, თანაც, ლამისაა დაბადებიდან ჭიდაობაში მოღვაწეობენ და არც მატერიალურად არიან სუსტად. რამდენი ხანია, ორივე ცდილობს ფილას მაღალ სტრუქტურებში მოხვედრას, მაგრამ უშედეგოდ. ერთადერთი, რითაც ისინი დააკმაყოფილეს, ის იყო, რომ ბუდაპეშტში გამართულ ევროპის ჭიდაობის ფედერაციის კონგრესზე ამ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტებად აირჩიეს. ეს, პრაქტიკულად, არაფერს ნიშნავს, იგივეა, მტირალა ბავშვს გასაჩუმებლად კანფეტი რომ მისცე. მაპატიონ ამ ლეგენდარულმა ფალავნებმა ამგვარი შედარება, მაგრამ მისი ავტორი მე არ გახლავართ, ეს თავად ალექსანდრ მედვედის სიტყვებია. ფილას აგერ უკვე ოცდაათი წელია პრეზიდენტობს იუგოსლაველი ბიზნესმენი, 86 წლის მილან ერცეგანი. ეს კაცი ძალიან მოტეხილი მოხუცია. განსხვავებით თითქმის მისი კბილა პრეზიდენტების – აველანჟისა და სამარანჩისგან, რომლებსაც მუხლიც უჭრით და ტვინიც, ერცეგანი ძლივს დაფარფატებს, დაჯილდოების ცერემონიალზე თუკი აქეთ-იქიდან არ ამოუდგებოდნენ, კვარცხლბეკამდე ვერ ადიოდა. სავსებით ლოგიკურია, თუ იკითხავთ, კი მაგრამ, რატომ არ გადაირჩევენ ამ კაცს და ვინმე ახალგაზრდას არ დანიშნავენო. რატომ, და, ერცეგანის პრეზიდენტობა თითქმის ყველას აწყობს. ბერიკაცს ჭიდაობის სამყაროს მართვის თავი აღარა აქვს, მისი გარემოცვა კი ამას დიდებულად იყენებს და რაც სურს, იმას აკეთებს. ფილას მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე შვეიცარიელი მარტინეტი, მისი მოადგილე, საბერძნეთში მცხოვრები სომეხი კაზარიანი და ფილას ვიცე-პრეზიდენტი, ამავდროულად ევროპის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ფრანგი დიუსონი – აი მთავარი დამკვრელი ძალა. თუკი ამ ხალხთან კარგად ხარ, ჭიდაობაში არაფერი გაგიჭირდება. სამწუხაროდ, „კარგად ყოფნაში“ მხოლოდ ახლო ნაცნობობა არ შედის...

ამის გამო ქართველები ბუდაპეშტში კარგა გვარიანად დავიჩაგრეთ. დღემდე გამოცანად რჩება, თუ რაში წაართვეს ზაზა თურმანიძეს გადამწყვეტი ქულა, რომელსაც ფინალში გაყავდა. იყო კიდევ რამდენიმე მცირე დეტალი, მაგრამ ტარიელ მელელაშვილის შემთხვევასთან ეს ყველაფერი მონაგონია. ფილამ რამდენჯერმე დაარღვია თავისივე კანონი. ჯერ ერთი, მოჭიდავე განმეორებით აჭიდავეს იმავე მეტოქესთან. შემდეგ სასტუმროში მიმავალი მელელაშვილი კარებიდან მოაბრუნეს და უთხრეს – მოემზადე, ხუთ წუთში ხალიჩაზე გადიხარო, მაშინ, როცა ათი წუთის წინ ასე აცნობეს – დღეს მეტს აღარ იჭიდავებო. ასე მოუწია ტარიელს ერთ დღეში ხუთი (!) შერკინების გამართვა. ფილას დებულებაში კი გარკვევით წერია, რომ ერთმა ფალავანმა დღეში ოთხზე მეტჯერ არ უნდა იჭიდაოს. პროტესტის შესატანად მისულ ქართველებს ასეთი პასუხი დაახვედრეს: კი უწევს მელელაშვილს მეხუთე შეხვედრა, მაგრამ წინა ოთხიდან სამი ვადაზე ადრე დაამთავრა, წმინდად მოიგო და რა მოხდა, დაღლილი ხომ არ იქნებაო. დემაგოგებისათვის ეს შემთხვევა ნამდვილად ღირსეული მაგალითი იქნება. მთელი საქმე კი ის იყო, რომ 68 კგ-ში, ფრანგ იალუზს აუცილებლად უნდა დაეკავებინა საპრიზო ადგილი (ასე იყო დაგეგმილი). მელელაშვილს მთლად რომ დაეხოცა ყველა მეტოქე, მიზეზს მაინც მოუნახავდნენ.

ერთხანს ელდარ კურტანიძის ჩემპიონობაც ბეწვზე ეკიდა. შეგახსენებთ, ფინალში მან გერმანელი ბალცი სძლია. ჰოდა, გერმანელებმა კურტანიძეს კისრული დაუწუნეს, აქაოდა, გდება საერთოდ არ ყოფილაო და თავისი ფალავნის გაჩემპიონებას შეეცადნენ. ბალცი რომ გერმანელი არ ყოფილიყო (გერმანელები მთლად კარგად ვერ სხედან ფილაში), კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა. არავის გაუკვირდებოდა, ელდარისათვის სუფთად გაკეთებული ილეთი რომ არ ჩაეთვალათ და მისი აშკარა გამარჯვებაც დუნაის ტალღებისთვის გაეტანებინათ.

ახლა იმის შესახებ, თუ როგორ პირობებში ვშრომობდით. თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ პრეს-ცენტრი თითქმის იდეალურად მუშაობდა. არ იყო ინფორმაცია, რომელიც აკრედიტებული ჟურნალისტისთვის წუთებში არ მიეწოდებინათ. ის კი არა, თუკი რამე დამატებით გაინტერესებდა, ცოტა ხანში ქაღალდების დასტას მოგართმევდნენ შენთვის მნიშვნელოვანი ცნობებით. ხდებოდა გაუგონარი რამ: მომდევნო წრეების კენჭისყრა, მონაწილეთა სატურნირო მდგომარეობა და შეხვედრათა შედეგები პრეს-ცენტრში უფრო მალე ვრცელდებოდა, ვიდრე მონაწილეთა და მწვრთნელებს შორის. გარდა ამისა, პრეს-ცენტრის თანამშრომლები მეტად ყურადღებიანი ხალხი იყო. ჩემს კოლეგას ტელევიზიიდან არმაზ მეტრეველს ვიდეოკამერა გაუფუჭდა. პრეს-სამსახურის არავითარ ვალდებულებას არ წარმოადგენდა, მაგრამ მან არმაზი კამერების შესაკეთებელ პუნქტში გააგზავნა და თანაც დარეკა, ესა და ეს კაცი მოვა და მიხედეთო. კამერა გააკეთეს და რაშიაც ნებისმიერი ჩვენებური ხელოსანი ბოლო პერანგს გაგაყიდინებდა, იმაში მეტრეველს ფორინტიც კი არ გამოართვეს...

რამდენიმე წლის წინ ჩემს მეგობარს, ოლიმპიურ ჩემპიონს ნინო სალუქვაძეს ვკითხე, შენს მიერ ნანახი ქალაქებიდან ყველაზე ლამაზი რომელია-მეთქი. ნინომ ბუდაპეშტი დაასახელა. ამ ქალაქის სილამაზე ისედაც მოგეხსენებათ და მე აღარაფერს გეტყვით, მაგრამ თუკი სალუქვაძეს ბუდაპეშტში შევხვდებოდი, იმ რამდენიმე წლის წინ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. ნინო ჯერ ჩამოსულიც არ იყო, მისმა სახელმა რომ მიშველა. სროლაში ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტი ტურნირზე აკრედიტაციას არ მაძლევდა, გვიან მოგვმართეო – მეუბნებოდნენ. არადა, ჩემი ბრალი არ იყო, სროლა არასოდეს გამიშუქებია და ევროპის ჩემპიონატი რომ ტარდებოდა, მხოლოდ ბუდაპეშტში ჩასვლის შემდეგ გავიგე. ასე იყო თუ ისე, სალუქვაძის მეგობარი ვარ-მეთქი და თან, ნინოს მეუღლის, ჩემი ყოფილი თანაგუნდელის, გოჩა მაჭავარიანის ბიძაშვილობა „დავიბრალე“. თავიდანვე ასე გეთქვა, აღარ გაწვალებდითო, – მითხრეს ორგკომიტეტში და ათ წუთში აკრედიტაციაც მომცეს.

ნინოს ავტორიტეტი შეჯიბრისას უნდა გენახათ. ყველა, მსროლელიდან დაწყებული, მთავარი მსაჯით დამთავრებული, უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდა, მას. ნინომ მესამე ადგილი დაიკავა და მილოცვებს დასასრული არ უჩანდა. წარმოიდგენია, ჩემპიონი რომ გამხდარიყო (ანაც მომავალში რომ გახდება), მაშინ რა მოხდებოდა...

**მერაბ რატიშვილი**

ბუდაპეშტი — თბილისი



## საქართველოს ჩემპიონატი

ვერის ბაღი
3 აპრილი

**სტუ — კოლხა 78:61**

სტუ: ბოლქვაძე (15), თორთლაძე, ორჯონიკიძე (6), იაზერსკისი (23), მიქაძე (22), ნოზაძე (12)

კოლხა: არველაძე, ქვილითაია (7), აქირთავა (14), ბენდიანიშვილი (12), ჯიგანია, კარტოზია (15), ქარუმიძე (1), კიკალიშვილი (2), ბერია, ვაშაკიძე (7), სიხარულიძე (3)

**ვითა — ქიმიკოსი 90:59**

ვითა: კობეშავიძე (18), ტურაშვილი (5), შენგელია (14), დერიუგინი (8), ქარაბაკი (13), დადიანი (27), კოკოლიშვილი, ბოისა (2), ორმოცაძე (2), ნინიაშვილი (1)

ქიმიკოსი: აბზიანიძე (8), მიროტაძე (2), კიკვიძე, გოგოლაძე (4), წიკლაური (11), გურასპაული (11), მ. ბერუაშვილ (15), კეჭაყმაძე (8), გ. ბერუაშვილი (6)

**დინამო — სდასუ 82:55**

დინამო: მაისურაძე (8), ჟლენტი (2), დარსაძე (11), სხიერელი (6), კილაძე (11), ცხვედიანი (27), ხოშტარია (12), გიგაშვილი (5)

სდასუ: ეგუტია (9), მუშკუდიანი (4), გიგაური (18), ნიკოლაძე (16), ახობაძე, გაბრიჩიძე (1), ბერიშვილი (7)

4 აპრილი

**შევარდენი — კოლხა 66:64**

შევარდენი: ისაკაძე (10), მაჭავარიანი (9), ფიოდოროვი (16), ესიტაშვილი (6), ლვინეფაძე (12), თაბუაშვილი (13)

კოლხა: არველაძე, ქვილითაია (12), აქირთავა (2), ბენდიანიშვილი (2), ჯიგანია (11), კარტოზია (13), ქარუმიძე, კიკალიშვილი, ბერია, კვაჭაძე (24)

**სტუ — მაკაბი 78:67**

სტუ: ბოლქვაძე (4), თორთლაძე (3), ორჯონიკიძე (21), იაზერსკისი (29), მიქაძე (4), ხარაძე (9), ნოზაძე (8)

მაკაბი: უძილაური (22), ტაბატაძე (10), ანდღულაძე (11), ხუხაშვილი (11), შველიძე, ჩაჩხიანი (13)

5 აპრილი

**ქიმიკოსი — სტუ 80:55**

ქიმიკოსი: აბზიანიძე (2), კიკვიძე (6), გოგოლაძე (6), წიკლაური (2), ხაიაური (3), გურასპაული (30), მ. ბერუაშვლი (27), კეჭაყმაძე (4), გ. ბერუაშვილი

სტუ: ბოლქვაძე (10), თორთლაძე, ლომიძე, ორჯონიკიძე (11), იაზერსკისი (9), მიქაძე (18), ნოზაძე (7), ენდელაძე

**დინამო — ვითა 90:76**

დინამო: დარსაძე (25), ცხვედიანი (10), ბეჟანიშვილი (8), კილაძე (16), სხიერელი (12); მაისურაძე (14), ხოშტარია (5)

ვითათ: ტურაშვილი (7), ქარაბაკი (18), ორმოცაძე (2), ბოისა (2), დერიუგინი; კობეშავიძე (13), შენგელია (23), დადიანი (2), კოკოლაშვილი (9)

„დინამოს“ ასე მძლავრად, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, კარგა ხანია არ უთამაშია. შეტევაში ხომ იგარგეს, დაცვაშიც იმდენი ბურთი მოიგეს და ჩაჭრეს, სამ მატჩს ეყოფოდა. „ვითამ“ კი პირველი ბურთი თამაშის დაწყებიდან 3,06 წუთის შემდეგ ჩააგდო, ვიცი იფიქრებდა, შეკრდნენ გამოერკვაო, მაგრამ ასე აღარ გაუგრძელებია: მე-7 წუთზე „დინამო“ უკვე 22:8 იგებდა, მე-13-ზე – 34:13. შეუდარებელი იყო გელა დარსაძე – რაც უჩვეულოა, დაცვაში უფრო ძლიერად გამოიყურებოდა. ტაიმს დამთავრებამდე 4,33 წუთით ადრე ანგარიში რეკორდულად გაიზარდა – 42:16. ვითომ დამთავრებული იყო ყველაფერი, მაგრამ მოედანზე „ვითა“ იყო, გუნდი, რომელიც მუდამ იბრძვის და განსაკუთრებით კარგად ბოლო წუთებში თამაშობს. ჩემპიონმა 26-ქულიანი დეფიციტი შესვენებამდე 14-მდე დაიყვანა, ბოლო მეორე ტაიმში შეუტია. დინამოელებმა ფარქვეშ შენგელიას მარტო დატოვება დაიწყეს – ამასაც მეტი რა უნდოდა და ანგარიშმა შემცირება დაიწყო. ზუსტად ტაიმის შუაწელში სხვაობა 4 ქულაღა იყო – 63:59.

აქ დინამოელმა მაისურაძემ პირველმა შეატყო, რომ წვალებ-წვალებით მოპოვებული უპირატესობა მის გუნდს ხელში ადნებოდა. ირაკლიმ სამი სამქულიანი ჩააგდო, უკანასკნელი – დამთავრებამდე 7,12 წუთით ადრე და მაშინ ანგარიში 78:63 გახდა. ამის შემდეგ „დინამომ“ აურია, ოთხი წუთის მანძილზე ბურთი ვერ ჩააგდო და „ვითა“ ხუთი ქულით დაუახლოვდა.

აქ ისევ „ბებერმა“ გელამ უშველა თანაგუნდელებს. კრიტიკულ მომენტში მან სამქულიანი ისროლა. ბურთი ვითელების ხელებისაგან აღმართულ ხშირ მესერს გადაევლო და კალათში ჩაეშვა. მის მაგალითს მაისურაძემაც მიბაძა და მომდევნო შეტევაში იგივე გაიმეორა. „დინამომ“ საქმე ასე დაასრულა, გაიმარჯვა და სატურნირო ცხრილში ორხელისუფლებიანობა დაამკვიდრა.

6 აპრილი

**სდასუ — მაკაბი 53:50**

სდასუ: ეგუტია (13), მუშკუდიანი (2), გიგაური (13), ქევხიშვილი (4), ნიკოლაძე (9), ჭეიშვილი (7), ბერიშვილი (3), ახობაძე, მერკვილაძე (2)

მაკაბი: უძილაური (11), ტალაბაძე, ტაბატაძე (4), ანდღულაძე (16), ხუხაშვილი (16), შველიძე (3)

ექვსეულში გავიდნენ „ვითა“, „დინამო“, „ქიმიკოსი“, სდასუ, „მაკაბი“ და „შევარდენი“. ექვსეულის თამაშები 24 აპრილს დაიწყება სპორტის სასახლეში.

**კოტე მგალობლიშვილი**





რენებერგი კურიე აგასი გალიქსონი სამპრასი მარტინი

# პრაღაში გაბითურებული ამერიკა

## დევისის თასის მეოთხედფინალი. 5-7 აპრილი

ეს უკვე მერამდენედ მოხდა, რომ ბობოლა ვარსკვლავთა ჭირვეულობამ ქვეყნის ინტერესს ავნო. აი, ახლაც, ოთხმა ამერიკელმა — პიტ სამპრასმა, ანდრე აგასიმ, მაიქლ ჩანგმა და ჯიმ კურიემ რაღაც ჭირად ერთდროულად ვერ მოიცალა დევისის თასის მეოთხედფინალის სათამაშოდ. ამ შატალოს მიზეზი ყურით მოთრეული იყო — აქაოდა ვემზადებით ატლანტის ოლიმპიადისთვისო. არადა, ოლიმპიადა ივლისშია, მანამდე კი ეს ოთხეული არც დიდი სლემის ორ შეჯიბრს — როლან-გაროსსა და უიმბლდონს გამოტოვებს და, რა თქმა უნდა, ვერც არანაკლებ სარფიანი პროფ-ტურის შეჯიბრებებს შეელევა. ერთი სიტყვით, ჯერ ფული, მერე — სამშობლო!

### ჩეხეთი 3-2 აშშ

აშშ თასის 31-გზის მფლობელია, პრაღაში ჩეხებთან სათამაშოდ კი გასაცოდავებული ჩავიდა. მასპინძლებსაც შანსი ხელიდან არ გაუშვიათ: თუმც პარასკევს, პირველ ჩოგანთა თამაშში პეტერ კორდა 2:6, 4:6, 5:7 დამარცხდა თოდ მარტინთან, მერე დანიელ ვაჩეკმა დევისის თასებზე პირველი მარცხი აწვნია მალივაი ვოშინგთონს 4:6, 6:3, 6:4, 5:7, 6:4 და ანგარიში გაათანაბრა 1-1.

შაბათს ჩეხთა კაპიტანმა ვლადიმერ სვარდამ ჭკუა იხმარა: თავიდან წყვილთა რაბერის სათამაშოდ ირჟი ნოვაკი და მარტინ დამი შეიგულა, მაგრამ მერე მაინც ორი საუკეთესო — კორდა და ვაჩეკი პირველად შეაწყვილა. ამათაც ბდღვირი ადინეს აშშ-ის სპეციალისტ წყვილს — პატ მაკინროუსა და პატ გალბრეითს 6:2, 6:3, 6:3. კორდამ გადასარევად ითამაშა — სინთეტიკურ ხალიჩაზე დიდებულად იგერიებდა მეტოქეთა მოწოდებებს.

კვირას ამერიკელებმა კიდევ გაიბრძოლეს. მარტინმა ვაჩეკის 7:6, 6:3, 6:1 ძლევით გუნდური ანგარიში გაათანაბრა 2-2, მაგრამ მეხუთე, გადამწყვეტ რაბერში ვოშინგთონი ვერ მოერია კორდას, თუმცკი პირველ ხელში ორჯერ მიაღწია სეთ-პოინტს. ჩეხმა 7:6, 6:3, 6:2 დაამარცხა ზანგი.

### საფრანგეთი 5-0 გერმანია

ამერიკელთა კაპიტან თომ გალიქსონზე უკეთეს დღეში როდი ჩავარდა გერმანელი ნიკი პილიჩი: რაკი მიხაელ შტიხის იმედი ვერ ექნებოდა, თამაში სთხოვა ბორის ბეკერს, ვისაც ერთობ დარია ხელი ბრონქიტმა.

საზრიანმა ფრანგებმა მეტოქეს ლიმოჟის საკალათბურთო დარბაზში უმასპინძლეს და შაბათსვე 2-0 დაწინაურდნენ: ჯერ იყო და სედრიკ პიოლინმა ოთხ ხელში 6:0, 6:7, 6:4, 6:3 აჯობა დავიდ პრინოსილს, მერე კი მსოფლიოს მე-13 ჩოგანი არნო ბეჩი პარტიების ანგარიშში თუმც ორჯერ ჩამორჩა 81-ე ჩოგან ჰენდრიკ დრიკმანს, ხუთ ხელში მაინც მოუგო 4:6, 6:4, 3:6, 7:6, 6:3.

შაბათს დიდი ომი გააჩაღეს წყვილებმა: ფორჟე — ბეჩმა და ბეკერ — მარკ გელნერმა. პირველი და მესამე ხელები თაი-ბრეიქამდე მივიდა. მასპინძლებმა ჯერ მეექვსე სეთ-პოინტზე მოიგეს, მერე — მეორე მატჩ-პოინტზე. საბოლოოდ 7:6 (8-6), 6:4, 7:6 (9-7). ფრანგები ნახევარფინალში გავიდნენ 3-0. მათი კოლორიტული კაპიტანი იანიკ ნოა მოედანზე შეიჭრა. კვირას პიოლინმა 6:4, 6:3 მოუგო დრიკმანს, ფორჟემ კი პრინოსილიც დაამარცხა.

### ინდოეთი 0-5 შვედეთი

ფრანგების დარად შაბათსვე მოითავეს საქმე შვედებმა, ინდოეთს კალკუტაში, ბალახზე რომ ეთამაშნენ. თამაშის წინადღით, ხუთშაბათს, სრულიად ინდოეთის ჩოგბურთის ასოციაციის თავკაცმა საპროტესტო ნოტა გაუგზავნა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ ბრაიან თობინს, აქაოდა შვედებმა თავიანთ მედიაში ისეთი ანტი-ინდური კამპანია გააჩაღეს, რომ ჩვენი ქვეყანა თავს შეურაცხყოფილად გრძნობს, ევროპელთა ავკაცობა კი დევისის თასის სულისკვეთებას ეწინააღმდეგებაო. ინდოელები ყველაზე მეტად იმან გააცოფა, რომ სტეფან ედბერგს ეთქვა, მაგ კალკუტაში როგორ ჩავიდე — ემანდ რამე უკურნებელი სენი არ შემეყაროსო.

საერთაშორისო ფედერაცია ინდოელთა პროტესტს ამ კვირის ბოლომდე განიხილავს, მაგრამ თამაში, აზიელთა მტკიცების მიუხედავად, ბოლმიან შერკინებად სულაც არ ქცეულა — მეტოქეები ზრდილად იქცეოდნენ.

ინდოეთმა პირველ წრეში ჰოლანდია გააგდო. ამჯერად სასწაული აღარ მოხდა: მასპინძლები, ვისაც მსოფლიო კლასიფიკაციის პირველ ასეულში ერთი მოთამაშეც კი არა ჰყავთ, თუმცკი გაუძალიანდნენ მეტოქეს, მაგრამ ხუთივე რაბერი მაინც წააგეს.

ლიანდრა პეისისა და იონას ბიორკმანის თამაშმა სამსაათნახევარი გასტანა. შვედმა ხუთ ხელში გაიმარჯვა 1:6, 6:4, 5:7, 6:3, 7:5. მერე თომას ენკვისტმა პირველი სეთი 6:7 წააგო მარჰეშ ბუპატისთან, მაგრამ შემდეგ ზედიზედ სამი მოუგო 7:6, 6:1, 6:1. წყვილთა თამაშში ბიორკმანმა და ნიკოლას კულტიმ 6:7 (4-7), 6:3, 6:4, 6:1 დაამარცხეს იგივე პეისი და ბუპატი. მაყურებლები დამთავრებას აღარ დალოდებიან, ისე გაიკრიფნენ სტადიონიდან. კვირას კულტიმ პეისს მოუგო 6:3, 6:7, 7:6, ბიორკმანმა — ბუპატის 6:2, 6:4.

### იტალია 4-1 სამხრ. აფრიკა

16-წლიანი პაუზის შემდეგ იტალიამ ისევ გააღწია ნახევარფინალში. მატჩი რუსების ძლევის ადგილას — რომის „ფორო იტალიკოზე" გაიმართა. იქვე ახალი საჩოგბურთო სტადიონის მშენებლობა დასრულებულა და იტალიელებიც თურმე ამიერიდან იქ უმასპინძლებენ მეტოქეებს.

პარასკევს თავიდან სტუმრები დაწინაურდნენ: მასპინძელმა რენცო ფურლანმა სამ ხელში 4:6, 4:6, 4:6 წააგო მსოფლიოს 106-ე ჩოგან მარკუს ონდრუშკასთან. პირველი ხელი წააგო ანდრეა გაუდენციმაც, მაგრამ ბოლოსდაბოლოს ხუთ ხელში 5:7, 6:3, 2:6, 7:5, 6:1 დაამარცხა მეათე ჩოგანი ვეინ ფერერა 1-1.

შაბათს წყვილთა შეჯიბრი სამსაათნახევარსა და ხუთ ხელამდე გაიწელა. მასში გაუდენციმა და დიეგო ნარჯიზომ თავი მოიკლეს და ბოლოს მაინც დაამარცხეს ვეინ და ელის ფერერები 5:7, 3:6, 6:3, 7:6 (9-7), 6:2, თუმცკი აფრიკელებმა მეოთხე ხელში, ერთი პირობა, მატჩ-პოინტსაც კი მიაღწიეს.

კვირის პირველსავე „შებრუნებულ რაბერში" ყველაფერი გაირკვა. 6 ათასი ქომაგის მხარდაჭერით გულმიცემულმა ფურლანმა ორ საათსა და 45 წუთში სძლია ვეინ ფერერა 3:6, 6:0, 7:6, 6:2. გუნდური ანგარიში 3-1 გახდა. ბოლო თამაშს აზრი დაეკარგა. ჰოდა, ონდრუშკამ პირველი ხელი 1:6 რომ წააგო გაუდენცისთან და თან მსუბუქადაც დაშავდა, დანებდა.

ნახევარფინალები 20-22 სექტემბერს გაიმართება. ითამაშებენ შვედეთი — ჩეხეთი და საფრანგეთი — იტალია.

**ირაკლი ნინუა**

წინა კვირის (1-7.IV) ქალთა ტურის შეჯიბრი ჰილთონ-ჰედ აილენდში (სამხრეთი კაროლინა, აშშ) გაიმართა. გაიმარჯვა მეორე ნომრად განთესილმა ესპანელმა არანტა სანჩეს-ვიკარიომ, ვინაც ფინალი 6:2, 2:6, 6:2 მოუგო გაუთესელ ავსტრიელ ბარბარა პაულუსს. ამ ქალმა ნახევარფინალში გააგდო თვით კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 1) 7:6, 6:4 და ვინაიდან ავდრის გამო ნახევარფინალებიცა და ფინალიც ერთ დღეს — კვირას გაიმართა, კინალამ ერთბაშად ორი „ესპანელი ძროხა" მოინადირა.

მეორე ნახევარფინალში სანჩესმა 6:2, 6:2 დაამარცხა იანა ნოვოტნა (ჩეხეთი, 6). მეოთხედფინალები ასე დასრულდა: ნოვოტნა — ივა მაიოლი (ხორვატია, 3) 1:6, 6:2, 6:3; სანჩესი — საბინე ჰაკი (გერმანია) 6:2, 6:2; მარტინესი — პეტრა ბეგერო (გერმანია) 6:2, 6:0; პაულუსი — არინა სპირლეა (რუმინეთი) 6:2, 6:4. მანამდე ჰაკმა 6:2, 6:4 გააგდო მერი-ჯო ფერნარდესი (აშშ), სპირლეამ 6:4, 6:2 — გაბრიელა საბატინი (არგენტინა), ხოლო პაულუსმა — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი, 5) 3:6, 7:5, 6:4.

## ზე-12-ის პირველობა

6 აპრილი
ველინგთონი 27:43 ნატალი
7 აპრილი
ოქლენდი 30:26 ჩრდ. ტრანსვაალი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოქლენდი (ზ) | 6 | 5 | 0 | 1 | 248:171 | 27 |
| ქვინზლენდი (ავ) | 6 | 5 | 0 | 1 | 188:164 | 23 |
| ჩრდ. ტრანს (აფ) | 6 | 4 | 0 | 2 | 199:139 | 20 |
| ნატალი (აფ) | 6 | 4 | 0 | 2 | 207:154 | 19 |
| კანბერა (ავ) | 6 | 4 | 0 | 2 | 160:172 | 19 |
| ახ. სამხ. უელ (ავ) | 6 | 3 | 0 | 3 | 157:130 | 16 |
| ოთაგო (ზ) | 6 | 3 | 0 | 3 | 211:211 | 16 |
| ვაიქათო (ზ) | 6 | 3 | 0 | 3 | 167:176 | 15 |
| ველინგთონი (ზ) | 6 | 2 | 0 | 4 | 184:177 | 12 |
| ქენთებრი (ზ) | 6 | 1 | 1 | 4 | 115:194 | 7 |
| ტრანსვაალი (აფ) | 5 | 1 | 0 | 4 | 77:129 | 5 |
| დას. კონცხი (აფ) | 7 | 0 | 1 | 6 | 158:254 | 3 |

შენიშვნა: მოგება — 4 ქულა, ფრე — 2 ქულა, არაუმეტეს 7 ბურთით წაგება ანდა მეოთხე ლელოს გატანა — თითო პრემიალური ქულა

**აფრიკის** მოწინავე გუნდებმა — ნატალმა და ჩრდილოეთ ტრანსვაალმა რიგიანად ითამაშეს ხლვისოეთული ტურნეს მესამე ეტაპზე. ნატალის „ქურციკმა" უკანახაზელებმა — ანდრე ჟუბერმა (15) და ჯეიმზ სმოლმა (14) სამ-სამი ლელო გატანეს ველინგთონის „ქარიშხლებს" და ერთბაშად ხუთი საცნობილო ქულა შემატეს თავისი გუნდის აქტივს. პრეტორიელ „ლურჯი ხარებს" თუმც ოქლენდთან გადამწყვეტი მატჩის წინ ერთბაშად ოთხი კაცი დაუშავდათ და თანაც თამაში აღდგომას — 7 აპრილს მოუწიათ, რაც მორწმუნე ბურებს ქვეცნობიერად უთუოდ შეაფერხა, ისინი მაინც ბოლომდე ეომნენ მასპინძლებს და ამათი ჯონა ლომუს გადასარევი თამაშის მიუხედავად, ბოლოს კინალამ გაუყაიმეს ანგარიში.

ამ სააღდგომო მატჩში ოქლენდმა ძოიგერია სტუმართა საწყისი მიპალება და ლამაზი ლელოც გაიტანა ჯეიმზ ქურის (14), კარლოს სპენსერის (10) და ენდი ბლაუერსის (7) კომბინაციის შემდეგ. მერე „ხარების" 10 ნომერმა ლანს შერელმა სამი საჯარიმო შეაგდო და თავისიანები 9:5 დააწინაურა, რასაც მოყვა სპენსერის საჯარიმო და იმავე შერელის კალნიერი ლელო — 16:8 აფრიკელთა სასარგებლოდ.

მასპინძლებს თამაში ლომუზე აეგოთ და ბურთს ერთობ ხშირად აძლევდნენ. ამანაც შესვენებამდე გაინავარდა, ლელო გაიტანა და პირველი ნახევარი ფრედ — 16:16 დასრულდა.

მეორე ნახევარში ანგარიში კარგა ხანს აღარ შეცვლილა. მალე ისევ ლომუმ გამოიღო ხელი: რაქიდან მიღებული ბურთით 20 მეტრი იარა, გზად ექვსი მეტოქე დაიყოლია და ლელო კარსუკან გაიტანა. ამას უმალ სპენსერის გარდქევა და ლიი სთენსენსის (12) ლელო მოყვა — 30:16 ოქლენდის სასარგებლოდ.

აფრიკელები არ გატყდნენ, დეკო ლიუტკამ (15) და ფრიკი ბოზმანმა (1) ლელოებიც გაიტანეს, მაგრამ შერელმა ორივეჯ გარდასახვა გააფუჭა 26:30. მარცხის მიუხედავად, ჩრდ. ტრანსვაალს მცირე სხვაობით წაგებისათვის ერთი ქულა მაინც ერგო.




**ჰონკონგის შვიდკაცას** შემდეგ მსოფლიო თასის დირექტორებს დაუწუნებიათ წლევანდელი, საცდელი ფორმულა, 24 გუნდი ექვს ოთხ-ოთხგუნდიან ჯგუფად რომ იყო დაყოფილი, აქაოდა გამარჯვებულ გუნდს ერთით მეტი — ექვსი თამაშის გამოთვა უწევსო და აღუდგენიათ ტრადიციული სისტემა — რვა სამ-სამგუნდიანი ჯგუფი. ერთი სიტყვით, შვიდკაცას საგაისო მსოფლიო თასი ჰონკონგში ძველებური განრიგით მოეწყობა.

**სამხრეთი აფრიკის** ზანგური სპორტის მამებმა ქვეყნის რაგბის ნაკრებს ქურციკის ემბლემა კი შეუნარჩუნეს, მაგრამ ახლა გარკვეულა, რომ ქურციკისა და ყვავილ პროთეას შეხამება გუნდს მხოლოდ სათამაშო კვართს დაუმშვენებს, სარაგბო ალკაზმულობის აუცილებელ ატრიბუტს — პიჯაკს კი ოდენ პროთეა ეხატება. გარდა ამისა, ზანგებს გაუფრთხილებიათ რაგბის კავშირი, წყალობა შეიფერეთ და დროზე იმუშაკეთ რაგბში ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობის მისაზიდად, თორემ თქვენი საქმე ცუდად იქნებაო.

## აქეთური, იქითური და ასე შემდგომ

**ნიჩბოსნობა** შაბათს, ლონდონში, თემზაზე, პატნიდან მორთლეიქამდე ოთხნახევარმილიანი ტრადიციული, 142-ე საუნივერსიტეტო შეჯიბრი ზედიზედ მეოთხედ მოიგო ქემბრიჯმა, რომლის რვიანმაც ორი კორპუსითა და კიდევ სამი მეოთხედით აჯობა ოქსფორდისას. გამარჯვებულთა შედეგი — 16 წუთი და 58 წამი ოდენ რეკორდს ჩამოუვარდება. შეჯიბრი 1829 წლიდან იმართება. ბალანსი ქემბრიჯის სასარგებლოდაა 73:68 (ერთიც ფრე).

**მძლეოსნობა** რუმინეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა ნება დართო სიმაღლეზე მხტომელ ქალ ალინა ასტაფეის, ამან ატლანტაში გერმანიის სახელით რომ იასპარეზოს. ასტაფეი ევროპის ჭერქვეშა ჩემპიონია და შარშან გერმანიის მოქალაქეობაც მიიღო, მაგრამ პარასკევამდე მისი გამზრდელი რუმინეთის სპორტის მამები გერმანიას ფულად კომპენსაციას სთხოვდნენ.

**კრივი** მაიკლ ტაისონის მიერ გალახული ფრენკ ბრუნო ბი-ბი-სის გამოსტყდომია, რინგიდან წასვლას მაინც არ ვაპირებ, ვინაიდან ლენოქს ლუისთან ანგარიში მაქვს გასასწორებელიო. ლუისმა, ვინაც იმ დროს ჩემპიონი იყო, ბრუნო 1993 წლის ოქტომბერში კარდიფში ნოკაუტით დაამარცხა.

**ველორბოლა** 23 მარტს მილან — სან-რემოს რბოლით დაიწყო საგზატკეცილო ველოსპორტის წლევანდელი მსოფლიო თასი. გაიმარჯვა იტალიელმა გაბრიელე კოლომბომ, ვინაც ერთი წამი მოუგო უკრაინელ გონჩენკოეს. მორჩა თუ არა რბოლა, გაირკვა, რომ დოპინგ-კონტროლი ვერ მოხერხდებოდა. კომისიამ აღმოაჩინა, რომ მავან ავისმზრახველს წინდაწინ გაეხსნა პაკეტები, რეაქტივებს რომ შეიცავს და შიგთავსი გაეფუჭებინა. თუ რა მიზნით და რა ვითარებაში მოხდა ეს ყველაფერი, იტალიის ველოსპორტის ფედერაციის მიერ წამოწყებული გამოძიება დაადგენს, კვირას კი ისევ იტალიელებმა მოიგეს თასის მეორე ეტაპი — ფლანდრიის ტური: პირველი ადგილი მიქელე ბარტოლიმ დაიჭირა, მეორე — ფაბიო ბალდატომ.

## ოლიმპიზმის 100 წელი



# ყვენობა პანათინაიკონზე

**ბერძნები** ძალიან ემდურიან მსოფლიო სპორტის მეუფეს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) ჭარმაგ პრეზიდენტ ხუან ანტონიო სამარანჩს: ძველ ელინთა შთამომავლებს ვერაფრით მოუნელებიათ, რომ სოკ-მა საიუბილეო, 100-წლოვანი ოლიმპიადის გამართვა დააკისრა არა ათენს, არამედ „კოკა-კოლისა" და თედ თერნერის ატლანტას (ჯორჯია, აშშ). ამიტომ იყო, ბერძნებმა თავი რომ არ დაზოგეს და დიდი ზარ-ზეიმი ჰქონდათ მთელი ერთი კვირის მანძილზე — 30 მარტს ოლიმპიური ცეცხლის დანთებიდან 6 აპრილამდე ანუ ამ ცეცხლის ატლანტელთათვის გადაცემამდე.

ცეცხლი, ტრადიციულად, ოლიმპიაში გააჩაღეს, სადაც თვით აშშ-ის პირველი ქალბატონი ჰილარი ქლინთონი ჩაბრძანდა და სადაც მავანმა ბერძენმა მსახიობმა ქალმა აპოლონს ტრადიციისამებრ სთხოვა შეწევნა. მერე მოეწყო ესტაფეტა ათენის მარმარილოს, ე. წ. პანათინაიკონის სტადიონამდე, სადაც დიდი წარმოდგენა გაიმართა.

მასპინძლებმა გააცოცხლეს 1896 წლის პირველი თანამედროვე ოლიმპიადა: მიიწვიეს 10 მესვეური ქვეყნის ოდენ კაცი ათლეტები და ისინი თორმეტ სახეობაში აასპარეზეს იმავე სარბიელზე, სადაც 100 წლის წინ ეჯიბრნენ მძლეოსნები ერთმანეთს.

მოასპარეზეებს ძველ ყაიდაზე ეცვათ. ბილიკთა სიგრძე და პროფილი იმდროინდელი იყო. არ ჰქონდათ სასტარტო ბლოკები. დროს ხელის წამმზომით აღნუსხავდნენ, გამარჯვებულს კი მსაჯები თვალდათვალ განსაზღვრავდნენ. ფოლ-სტარტისთვის ჯარიმად დისტანციის დაგრძელება გაეხსენებინათ.

მოღრუბლულიყო, ცივი ნიავიც ქროდა, მაგრამ 60-ათასიან სტადიონზე სეირს 25 ათასი კაცი მაინც მიეხიდა. შეჯიბრი ნაღდზე ნაღდი გაჩაღდა. თარჯრბენში ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, ამერიკელ როჯერ კინგდომს თამამემამულე რობერტ რედინგმა აჯობა, თუმც კი დრო ორივეს ერთნაირი — 13,5 წამი დაუფიქსირეს.

გაიმართა მსოფლიოს ურთულესი მარათონიც — საკუთრივ მარათონიდან ათენამდე. თუ ასი წლის წინ ამ შეჯიბრში ბერძენმა გლეხმა სპიროს ლუისმა გაიმარჯვა, ამჯერად ფინიშთან პირველმა ავსტრალიელმა გარი ჰენრიმ მიაღწია. სამაგიეროდ, მასპინძელმა პანაიოტის პაპალაოსმა მოიგო 1 500 მეტრზე რბენა, რამაც ხალხი ერთობ გაახარა.

რომ შებინდდა, გამარჯვებულები შეამკეს და საპატიო წრეც შეასრულებინეს. მერე ოლიმპიიდან მიტანილი ცეცხლი თვით სამარანჩმა გადაიბარა. ამაზე ავისმომასწავებელი სიჩუმე ჩამოწვა, მაყურებლებმა კი თავად აინთეს სანთლები, რითაც თურმე სოკ-ის უსამართლობის გამო პროტესტი გამოუცხადეს.

**თენგიზ არტამონოვი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ ბიბინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29